# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 აგვისტო 2005 №181 (2504) ფასი 50 თეთრი


# ნიჭიერ ახალგაზრდათა საყურადღებოდ:
# გინდათ ფული,
# !იშრომეთ!
# ზაზა ფაჩულიასავით

გადაწყდა, ზაზა ფაჩულია ატლანტელია! 21 წლის ქართველი ცენტრის ყოფილმა გუნდმა „მილუოკი ბაქსმა“ უარი თქვა „ატლანტა ჰოქსთან“ ზედმეტ ვაჭრობაზე და... ფაჩულიაც ავტომატურად დარჩა „ჰოქსს“. „ატლანტაში“ ზაზა ოთხ წელიწადში 16 მილიონ დოლარს მიიღებს და გახდება ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქართველი სპორტსმენი.





## შოთას ნაკრებზე ნურაფერს ჰკითხავთ...

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

2



## მეცამეტე 13 წელიწადში

საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა აღრიცხვა დასაბამიდან დღემდე

3

## ზესტაფონს და თბილისს ფული მოარიგებს

ინტერვიუ გოჩა თამაზაშვილთან

4

# მერე რა, რომ სველია...




400 მეტრზე თარჯრბენში პირველი და მეორე ადგილები ამერიკელებმა, ბერშონ ჯექსონმა და ჯეიმს კარტერმა დაიკავეს

AFP ჰელსინკიდან

# შოთას ნაკრებზე ნურაფერს ჰკითხავთ, რეინჯერსზე ჰკითხეთ

**საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ჰყავს რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც, მაგრამ გაიოზ დარსაძის 20-კაციან სიაში არ არის ეროვნული გუნდის მთავარმეგოლე შოთა არველაძე.**
**მწვრთნელმა საყაზახეთო შემადგენლობა, ცხადია, საკუთარი შეხედულებისამებრ დააკომპლექტა და, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვაც: 32 წლის არველაძის მიუწვევლობა მისი სანაკრებო კარიერის დასასრულს ხომ არ ნიშნავს?**
**შოთა არველაძეს გუშინ ალკმაარში დავუკავშირდით...**

**— ალბათ გეცოდინება, ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს...**

— ვიცი, გაიოზ დარსაძე.

**— საყაზახეთო შემადგენლობაში კი შენ არ ხარ...**

— ეგეც ვიცი და ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, ეგ თავად დარსაძეს ჰკითხეთ.

**— იმედი გაქვს, რომ მომავალში გამოგიძახებენ?**

— არა მგონია, ეგრე მოხდეს.

**— მაშ, გამოდის, სანაკრებო კარიერას ასრულებ...**

— მე არაფერი გადამიწყვეტია, ვინც გადაწყვიტა, იმას ჰკითხეთ.

**— ჩანს, დარსაძის დანიშვნა არ გესიამოვნა...**

— ჩემგან უხერხულია ახლა ამაზე ლაპარაკი. მერე იტყვიან, რახან არ გამოიძახეს, არველაძე გაბრაზდაო. გაკეთდება საქმე? ღმერთმა სიკეთე მისცეს.

**— „ალკმაარში" როგორ მიდის საქმეები?**

— ახალი და განსაკუთრებული არაფერია, ჩვეულებრივად ვემზადებით სეზონისთვის.

**— როგორ ატყობ, „ალკმაარში" ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ გექნება?**

— ვერაფერს გეტყვი, მწვრთნელ ლუის ვან გაალს არაფერი უთქვამს. ჩემ გარდა გუნდში კიდევ ოცდაორი ფეხბურთელია.

**— ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „რეინჯერსის" მეტოქე კვიპროსული „ანართოსისია". ალექს მაკლიში ალბათ ქართველების გამო შენც დაგელაპარაკებოდა...**

— ჰო, ორი დღის წინ ვიყავი გლაზგოში, ზურა ხიზანიშვილი ვნახე და, ბუნებრივია, მაკლიშსაც შევხვდი. ბევრი ვილაპარაკეთ, ჩემი თანდასწრებით უყურეს „ანართოსისის" თამაშს და არა მგონია, კვიპროსელთა გავლა გაუჭირდეთ. ჩემი აზრით, „ანართოსისი" ახლა ნამდვილად არ არის იმ დონის გუნდი, „რეინჯერსს" აჯობოს.

**გიორგი ვაჩნაძე**



ვალერი კამილაძის ფოტო



შალვა ღონღაძე



გიორგი განუგრავა



კახა ჩხეტიანი

# გამოწვევა მიღებულია
## ნაკრები და სამი ზესტაფონელი

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ „ზესტაფონის" სამ ფეხბურთელს (უფრო კი გულშემატკივრებს) სიურპრიზი მოუმზადა — გიორგი განუგრავას სანაკრებო პერსპექტივაზე აქამდე ლაპარაკობდნენ მაინც, შალვა ღონღაძისა და კახა ჩხეტიანის გამოძახებას კი ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. სხვა საქმეა, მოუნევს თუ არა ამ სამეულს ყაზახეთში 17 აგვისტოს თამაში, მაგრამ მათი ნაკრებში მოხვედრა უკვე გამოსახმაურებელი თემაა**

შეიძლება ითქვას, განუგრავა უნიკალური შემთხვევაა: ამ ნახევარმცველმა ბოლო 9 თვეში სამივე ასაკობრივ (17, 19 და 21-წლამდელთა) ნაკრებში ითამაშა და უკვე ეროვნულსაც მიადგა. ერთიც: გიორგი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ეროვნულ ნაკრებში რომ გამოუძახებიათ — იგი 17 წლისა და 5 თვისაა.

— გუშინ ახალგაზრდულ ნაკრებში ვიყავი შეკრებაზე, აზერბაიჯანელებს ვეთამაშეთ, ეროვნულში ჩემი გამოძახების თაობაზე კი დღეს გავიგე — გვითხრა განუგრავამ — ვგრძნობ, ჩემს კარიერაში გადამწყვეტი მომენტი დგება და თავი არ უნდა შევირცხვინო.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ შენთვის ეროვნული ნაკრები ნაადრევია?**

— ნაადრევზე რა გითხრათ, შიში კი ნაღდად არ მაქვს. ნაკრების თავკაცობა მენდო და ახლა ერთი სული მაქვს, შეკრება როდის დაიწყება. მე არ ვარ კალაძისა და კობიაშვილის დონეზე, ეგებ მინდორზე გასვლამ არც მომიწიოს, მაგრამ ნორმალურ ფორმაში კი ვარ.

ზესტაფონელთა 26 წლის მცველმა შალვა ღონღაძემ კი გვითხრა, ნაკრებში მოხვედრაზე ერთი წლის წინ ვერც ვიოცნებებდიო.

— დამწყები ფეხბურთელი არ მეთქმის და ჩემი ასაკის კაცს რომ ნაკრებში გამოიძახებენ, ორმაგად სასიხარულოა. ხუთი წუთითაც რომ გავიდე ყაზახეთთან, თავს დავდებ და მაქსიმუმს გავიღებ. რატომ მენდო გაიოზ დარსაძე? როგორ ვთქვა, ვთვლი, რომ წინა სეზონი ჩემთვის საუკეთესო იყო, ახლაც კარგ ფორმაში ვარ.

**— აქამდე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებშიც კი არ გითამაშია...**

— ერთადერთხელ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გიგლა იმნაძემ გამომიძახა 5-6 წლის წინ, თუმცა კოჭი გადამიბრუნდა და ვერ ვითამაშე.

27 წლის კახა ჩხეტიანს თავის დროზე უნგრულ „დებრეცენში" და უკრაინულ „ტავრიაში" უთამაშია, „ზესტაფონში" კი ამ ზამთარს ჩაირიცხა. ჩხეტიანი ღმერთის მადლობას სწირავს, რომ ნაკრებში გამოიძახეს...

— უზომოდ გახარებული ვარ, ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი იყო და გაიოზ დარსაძეს იმედებს არ გავუცრუებ.

**— ნაკრებში ერთხელ კი გითამაშია, მაგრამ ეს საკმაო ხნის წინ...**

— პირველად რომ გამომიძახეს, 20 წლის ვიყავი და აზერბაიჯანთან ვითამაშე. ისე კი, ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრჯერ მითამაშია. ახლა ჭაბუკი აღარ ვარ, გამოცდილება შევიძინე და ფიზიკურადაც მხნედ ვარ. ეროვნული ნაკრები ისეთი რამაა, სადაც ერთი წუთითაც რომ გათამაშონ, თავი უნდა გადადო და შანსი უნდა გამოიყენო. ძირითადში მოხვედრა კი, ცხადია, გამიჭირდება.

**ილია ნანობაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
### III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ანორთოსისი (კვიპროსი) 1:2 რეინჯერსი (შოტლანდია)
მანჩესტერი (ინგლისი) 3:0 დებრეცენი (უნგრეთი)
ევერტონი (ინგლისი) 1:2 ვილიარეალი (ესპანეთი)
ვისლა (პოლონეთი) 3:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბეტისი (ესპანეთი) 1:0 მონაკო (საფრანგეთი)
ვოლერენგა (ნორვეგია) 1:0 ბრიუგე (ბელგია)

## ინტერტოტოს თასი
### ფინალი

ჰამბურგი (გერმანია) 1:0 ვალენსია (ესპანეთი)
დეპორტივო (ესპანეთი) 2:0 მარსელი (საფრანგეთი)
კლუჟი (რუმინეთი) 1:1 ლანსი (საფრანგეთი)

## ინგლისი

**ჩემპიონატი. II ტური**

ძპრ 2:1 იფსვიჩი
ვულვზი 2:1 კრ. პალასი
შეფსდი 1:2 ჰალი
ბარნლი 1:2 შეფილდი
ბრაიტონი 0:2 რედინგი
ლესტერი 4:2 სტოკი
კარდიფი 2:1 ლიდსი
ლუტონი 3:2 საუთჰემპტონი
მილუოლი 0:0 ქოვენთრი
პლიმუთი 3:3 უოტფორდი
ნორვიჩი 1:1 ძრიუ

**I ლიგა. II ტური**

ბრედფორდი 0:2 საუთენდი
ბორნმუთი 1:1 ჰარტლპული
კოლჩესტერი 1:2 სუონსი
დონკასტერი 1:1 დონსი
პორტ ვეილი 0:0 ჯილინგემი
ჰადერსფილდი 1:0 ბრისტოლი
სკანთორპი 2:1 ბარნსლი
სუინდონი 2:3 ვოლდენი
ტრანმერი 2:2 ბლეკპული
უოლსოლი 3:2 ნოტინგემი
იოვილი 0:0 როტერჰემი

**II ლიგა**
**II ტური**

ბერი 1:2 ლეიტონი
როვერსი 1:2 გრიმსბი
კარლაილი 1:0 პიტერბრო
ჩესტერი 2:2 ლინკოლნი
მაკლსფილდი 2:2 ჩელტენემი
დარლინგტონი 2:0 სტოკპორტი
მენსფილდი 0:1 რაშდენი
ნორთჰემპტონი 1:1 ბარნეტი
ნოტსი 1:0 რეძსემი
როჩდეილი 1:2 უიკომბი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
ტამპერე 2:2 ტურკუ

## სლოვაკეთი

I ლიგა
გადადებული მატჩი
დუბნიცა 1:1 ტრენჩინი

# მეცამეტე 13 წელიწადში

**ცხრილი**, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა სადებიუტო მატჩებს ასახავს. რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ ცხრილის შედგენა, ესეც არ არის ძნელი გამოსაცნობი — ეროვნულ გუნდს მესამე ოღეა, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, გაიოზ დარსაძე, რომლის დებიუტსაც 17 აგვისტოს, ყაზახეთთან მატჩში ველით.

ჩამონათვალი ანატოლი ნორაკიძით იწყება, თუმცა ნაკრებს იქამდეც ჰყავდა მწვრთნელი — გივი ნოდია, რომელიც ორჯერ გაუძღვა გუნდს და ერთი მატჩი მოიგო, ერთიც ფრედ დასრულდა. ოღონდ ეგაა, რომ იმხანად საქართველო ფიფა-უეფას წევრი ქვეყანა არ გახლდათ და ის ორი მატჩიც ამ ორგანიზაციებს არსად აქვთ მოხსენიებული.

ორგანიზაციებში გაწევრიანების მერე კი პირველი მწვრთნელი, როგორც მოგახსენეთ, ანატოლი ნორაკიძე იყო და ათვლაც მისგან დავიწყოთ.

სულ საქართველოს ნაკრებს, გაიოზ დარსაძის ჩათვლით, ცამეტჯერ დაენიშნა მწვრთნელი, მაგრამ ქართული ფეხბურთის მესვეურებს, გეხსომებათ, კარუსელზე ტრიალი უყვარდათ და ზოგი მათგანი ორ-ორჯერ წვრთნიდა ეროვნულ გუნდს. ანუ სულ ნაკრებმა 10 მწვრთნელის ხელში გაიარა, დარსაძე მეთერთმეტეა.

13 წელიწადში მწვრთნელთა 13-ჯერ შეცვლა საგინესო ამბავია, ოღონდ საამაყო ამაში, დაგვეთანხმებით, არაფერია. თითო მწვრთნელზე საშუალოდ ერთი წელი გამოდის.

ამათგან ყველაზე სტაჟიანი ალექსანდრე ჩივაძეა, ვინაც ორჯერ ედგა თავში ნაკრებს. პირველად 24 მატჩი ჩაატარა, მეორედ კი თერთმეტი. ყველაზე მცირე ხნით ნაკრებს ივო შუშაკი წვრთნიდა — მან ოდენ ორჯერ გაიყვანა გუნდი სათამაშოდ.

რაც შეეხება ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს... თუმცა აქ წამით შევიცადოთ და განვსაზღვროთ, თუ რას ვეძახით წარმატებას. ძალიან იოლია იმის დათვლა, თუ რომელმა მწვრთნელმა რამდენი თამაში მოიგო, წააგო და ამის საფუძველზე მარტივი არითმეტიკული გამოთვლით წარმატება-წარუმატებლობის განსაზღვრა, მაგრამ ამ მეთოდს ერთი ძალიან დიდი ნაკლიც აქვს — შესარჩევ მატჩში რუსეთისა და, ვთქვათ, ამხანაგურში სომხეთის დამარცხებას ერთნაირად ზომავს. და რაც მთავარია, აქამდე არც ერთ მწვრთნელს საქართველოს ნაკრები შესარჩევი ჯგუფიდან არ გაუყვანია და ამდენად წარმატებულობაზე ლაპარაკიც, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

მაგრამ, ამის მიუხედავად, დათვლას წინ მაინც არაფერი უდგას და, თუნდაც უბრალო ინტერესის გამო შეგვიძლია დავიანგარიშოთ. იქამდე კი ერთი განმარტებაც: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი ერთხანს ერთად წვრთნიდნენ ნაკრებს და რაკი ორივენი მთავარ მწვრთნელებად ითვლებოდნენ, იმდროინდელ შედეგებს ორთავეს ცალ-ცალკე მივუთვლით.

მაშ ასე, **ანატოლი ნორაკიძემ** სამი მატჩი ჩაატარა, რომელთაგან ერთი მოიგო და ორში დამარცხდა. შედეგიანობა: **33 პროცენტი.**

**ალექსანდრე ჩივაძემ** 35 მატჩიდან ცამეტი მოიგო, ოთხი ფრედ ითამაშა და 18-ჯერ დამარცხდა. შედეგიანობა: **41 პროცენტი.**

**ვლადიმერ გუცაევმა** 16 მატჩიდან 6 მოიგო, სამი ფრე და შვიდიც წაგება დაუგროვდა. შედეგიანობა: **44 პროცენტი.**

**დავით ყიფიანმა** 23 მატჩიდან 8 მოიგო, 6 ფრედ ითამაშა და ცხრაში დამარცხდა. შედეგიანობა: **44 პროცენტი.**

**იოჰან ბოსკამპს** ხუთი მატჩიდან ერთიც არ მოუგია და მისი მონაგარი კინკილა ფრეა. შედეგიანობა: **7 პროცენტი.**

**რევაზ ძოძუაშვილს** დავით ყიფიანთან წყვილში ჩატარებული 16 მატჩიდან ოთხჯერ გაუმართლა, 5 ფრე ითამაშა და 7 მატჩი წააგო. შედეგიანობა: **35 პროცენტი.**

**ივო შუშაკმა** თავისი წილი ორი თამაშიდან ერთი მოიგო და ერთი წააგო. შესაბამისად, მისი შედეგიანობა **50 პროცენტია.**

ნაკრების თვითგამოცხადებულმა მწვრთნელმა **მერაბ ჟორდანიამ** ანატოლი ნორაკიძის შედეგი გაიმეორა და შედეგიანობაც ისეთივე აქვს: **33 პროცენტი.**

ჟორდანიას კი ყველაზე უიღბლო მწვრთნელი, **გოჩა ტყებუჩავა** მოსდევს, რომელმაც სამივე თამაში წააგო და შედეგიანობაც სათანადო აქვს: **0 პროცენტი.**

ბოლოს **ალენ ჟირესისა** ვთქვათ. 10 მატჩი, 2 მოგება, ამდენივე ფრე და 6 წაგება. შედეგიანობა: **27 პროცენტი.**

რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ივო შუშაკი ყოფილა, რომლის ანგარიშზეც საქართველოს ნაკრების მართლა პრინციპულ მატჩებში ერთადერთი გამარჯვებაა. ისე კი, გივი ნოდიას შედეგიანობასაც თუ ვიანგარიშებთ, ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ის გამოდის 67 პროცენტით და ამასთანავე ერთადერთია, თამაში რომ არ წაუგია.

ბოლოს ერთიც ვთქვათ: საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგან სამი — გივი ნოდია, ანატოლი ნორაკიძე და დავით ყიფიანი ცოცხლები აღარ არიან.

**კოტე კეკელია**



გაიოზ დარსაძე

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო



გივი ნოდია



ანატოლი ნორაკიძე



ალექსანდრე ჩივაძე



დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი



ვლადიმერ გუცაევი



იოჰან ბოსკამპი



ივო შუშაკი



მერაბ ჟორდანია



გოჩა ტყებუჩავა



ალენ ჟირესი

## ვინ როდის და როგორ დაიწყო

02.09.92
**ანატოლი ნორაკიძე**
ლიტვა 1:0 საქართველო

25.05.93
**ალექსანდრე ჩივაძე**
აზერბაიჯანი 1:0 საქართველო

05.12.96
**ვლადიმერ გუცაევი**
ლიბანი 4:2 საქართველო

30.03.97
**დავით ყიფიანი**
საქართველო 7:0 სომხეთი

06.02.98
**ვლადიმერ გუცაევი**
საქართველო 2:1 ლატვია

30.05.99
**იოჰან ბოსკამპი**
ნორვეგია 1:0 საქართველო

02.02.00
**დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი**
სლოვაკეთი 0:2 საქართველო

15.07.01
**ალექსანდრე ჩივაძე**
ლუქსემბურგი 0:3 საქართველო

30.04.03
**ივო შუშაკი**
საქართველო 1:0 რუსეთი

04.09.03
**მერაბ ჟორდანია**
საქართველო 3:0 ალბანეთი

18.02.04
**გოჩა ტყებუჩავა**
რუმინეთი 3:0 საქართველო

30.03.04
**ალენ ჟირესი**
გერმანია U21 2:2 საქართველო



ილია კოკაია და გოჩა თამაზაშვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოარიგა

# მოუსმინეთ პრეზიდენტს!

## ზესტაფონს და თბილისს ფული მოარიგებს

პრობლემა მოგვარებულია — „თბილისმა" და „ზესტაფონმა" კომპრომისს მიაღწიეს და მათ შორის კონფლიქტს დღეს-ხვალ წერტილი დაესმება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, „თბილისის" პრეზიდენტი გოჩა თამაზაშვილი და „ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია ერთმანეთს გუშინ ფედერაციაში შეხვდნენ და დაახლოებით სამი საათი ისაუბრეს

მოკლედ შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონმა" „თბილისის" ფეხბურთის აკადემიიდან ფეხბურთელები აიყვანა და მათ კონტრაქტებიც გაუფორმა. „თბილისმა", თავის მხრივ, ფედერაციაში იჩივლა, „ზესტაფონმა" ჩვენი ფეხბურთელები მიითვისა, ამ ბიჭებს კი ჩვენთან კონტრაქტები ჰქონდათო. საპირისპიროს ამტკიცებდა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, „თბილისიდან" „ზესტაფონში" წასულ ფეხბურთელებს მოყვარულთა სტატუსი ჰქონდათ, მათი პროფესიული კონტრაქტები ფედერაციაში ვერ მოვიძიეთ და „ზესტაფონმაც" ფიფას რეგლამენტის გათვალისწინებითა და წეს-კანონების დაცვით აიყვანა ეს ფეხბურთელებიო.

— ჩათვალეთ, რომ პრობლემა მოგვარებულია — გვითხრა ფედერაციაში შეხვედრის შემდეგ გოჩა თამაზაშვილმა — უახლოეს დღეებში „ზესტაფონის" ხელმძღვანელობასთან უკვე ცალკე მოვილაპარაკებთ და, ვიმედოვნებ, არც ჩვენ, არც „ზესტაფონი" უკმაყოფილო არ დავრჩებით.

**— ანუ „ზესტაფონი" ახალგაზრდა ფეხბურთელების სანაცვლოდ კომპენსაციას გადაგიხდით?**

— სწორედ ესაა მოსალაპარაკებელი, ჩვენ ან საკონტრაქტო, ანაც საკომპენსაციო თანხა უნდა მივიღოთ.

**— ფეხბურთელთა დაბრუნება გამორიცხულია?**

— ისინი უკვე „ზესტაფონში" თამაშობენ.

**— კი მაგრამ, კონტრაქტით თუ თქვენ გეკუთვნოდათ?**

— გაუგებრობა იყო. „თბილისს" ფედერაციაში ამ ფეხბურთელთა კუთვნილების ყველა ის საბუთი ჰქონდა წარდგენილი, რასაც ძველი ფედერაცია ითხოვდა. ახლა სხვანაირად ყოფილა.

**— გამოდის, ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტები გაფორმებული არ გქონიათ...**

— ჩვენ ძველი ფედერაციის ყველა მოთხოვნა შესრულებული გვქონდა.

**— ახლანდელის?**

— ჩვენ და „ზესტაფონმა" ფედერაციის პრეზიდენტის თანდასწრებით დღეს ყველაფერზე მოვილაპარაკეთ.

**ძობა ინასარიძე**

# კანკავამ ზესტაფონის მხოლოდ ინტერესი იცის



**ამ ბოლო** ხანს ლაპარაკია, „ზესტაფონს" ჯაბა კანკავას შეძენა სურს და საქმე თითქმის ბოლომდე აქვს მიყვანილიო. ძნელი სათქმელია, შეძლევა თუ არა ვლადიკავკაზის „ალანია" 19 წლის ნიჭიერ ნახევარმცველს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოსური კლუბი ჩვენიანს მაინცდამაინც ხშირად არ ათამაშებს. უფრო სავარაუდოა, რომ „ზესტაფონმა" კანკავა გარკვეული დროით ინათხოვროს.

გუშინ თავად ჯაბას დავუკავშირდით, თუმცა დიდად საგულისხმო მისგან ვერაფერი შევიტყვეთ: „ზესტაფონში" ჩემ შესაძლო გადასვლაზე მართლაცაა ლაპარაკი, მაგრამ სულ ეს ვიცი და მეტს ვერაფერს გეტყვით. არც ის ვიცი, საბოლოო ტრანსფერზეა საუბარი თუ განათხოვრებაზე. ამაზე კლუბები მოილაპარაკებენ".

გეცოდინებათ, კანკავა ამჟამად თბილისშია. გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშა, თუმცა გაიოზ დარსაძემ იგი ეროვნულ ნაკრებშიც იხმო და, ალბათ, ყაზახეთთან ათამაშებს კიდეც.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართველები პასპორტით აზერბაიჯანელობენ

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში რომ ბევრი ქართველი თამაშობს, ამით ახალი არაფერი გვითქვამს. ეგაა, იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებს ლეგიონერებზე ლიმიტი დაუწესა, რასაც ხმაურიანი რეაქცია მოჰყვა — გასაკვირი არცაა, აზერბაიჯანულ კლუბებს ფული ხვინჭასავით აქვთ, უცხოელებზეც მიუწვდებათ ხელი და რატომ მოიკლონ ფუფუნება?! ჰოდა, გამოსავალიც იპოვეს: კერძოდ, ლეგიონერებს აზერბაიჯანულ პასპორტებს აძლევენ.

„ახალ აზერბაიჯანელთა" შორის სამი ქართველია: „ნეფთჩის" ფორვარდი გიორგი ადამია და „თურანის" ნახევარმცველები — ზაზა ლაცაბიძე და თენგიზ სიჭინავა.

გეხსომებათ, ერთი ხანობა იმაზეც იყო ლაპარაკი, ადამიას აზერბაიჯანის ნაკრებში მიწვევას უპირებენო, თუმცა ჩვენს მეზობლებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან გიორგის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშევი. მსგავსი სიტუაციაა სიჭინავასთან დაკავშირებით — თენგიზს სულაც ეროვნულ გუნდში უბურთავია...

აი, ზაზა ლაცაბიძე კი სხვა შემთხვევაა და, თუ ფეხბურთელი თანახმა იქნება, ეგებ, აზერბაიჯანის ნაკრებში მწვანე აუნთონ, მაგრამ იქაურებს ეეჭვებათ — არა გვგონია, ნაკრების თავკაცმა ვაგიფ სადიგოვმა ლაცაბიძე ინდომოსო...

**ილია ნანობაშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 1 შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# საქართველო მოუხეველი უკრაინაა

**ყაზახეთის** ნაკრებმა საქართველოსთან მატჩისთვის მზადება დაიწყო. სერგეი ტიმოფეევის გუნდში მომხდარ ამბებზე აქამდეც ვწერდით, გუშინ კი გაირკვა, რომ დიდი შანსია, 17 აგვისტოს ვერ ითამაშოს ყაზახთა ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, ალმათის „კაირატის" მცველმა სამატ სმაკოვმა, ვინც სუპერლიგის ბოლო მატჩში დაშავდა და ახლა ექიმები დასტრიალებენ თავს. სმაკოვის შემცვლელს ტიმოფეევი სწორედ მედიკოსების პასუხის მერე დაასახელებს.

ამასობაში ყაზახეთის საფეხბურთო კავშირი გულშემატკივრების მიზიდვაზე მუშაობს. ყაზახეთ — საქართველოს მატჩის ბილეთი 300-900 ტენგე ღირს, თუმცა მათ, ვისაც შესარჩევი ეტაპის პირველ ტურში ყაზახეთ — უკრაინის (1:2) დაუზიანებელი ბილეთი აქვს, კავშირი 17 აგვისტოს მატჩის ბილეთში უცვლის. ამით ყაზახები სტადიონის გავსებას აპირებენ და ვარაუდობენ, რომ ასეც მოხდება.

მოკლედ, აზიელები სერიოზულად ემზადებიან.

**კახა შალამბერიძე**



სამატ სმაკოვი

# მირზა მერლანი ვეტრამ წაიღო

**ქუთაისის** „ტორპედოდან" წასული მეკარე მირზა მერლანი ვილნიუსის „ვეტრაში" გადავიდა. ამ კლუბს მინსკის „დინამოს" წარსულში ცნობილი ფეხბურთელი სერგეი ბოროვსკი წვრთნის და საკმაოდ უნარიანადაც. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არაფრით გამორჩეული „ვეტრა" ლიტვის ჩემპიონატში ახლა მესამე ადგილზეა და, მართალია, წინ წაწევის შანსი არა აქვს, მაგრამ მდევრებსაც საკმაოდ უსწრებს.



24 წლის მერლანი ერთი-ორჯერ საქართველოს ნაკრებშიც გამოუძახებიათ, თუმცა მინდორზე გასვლის საშუალება არ მისცემია. მირზას განსაკუთრებით კარგი სეზონი შარშანწინ ჰქონდა, როცა მისი „ტორპედო" ჯორჯია" გაჩემპიონდა, თუმცა „ტორპედოშიც" რიგიანად ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**



ჟან მიშელ ოლა



მიკაელ ესიენი



რომან აბრამოვიჩი

# სოფლელები ჩუკოტკაში მოიკითხეთ

**„ლიონისა“** და „ჩელსის“ აიწონა-დაიწონა უცნაურმა ჟან მიშელ ოლამ დაასრულა. ფრანგული კლუბის პრეზიდენტს ორი თვის მანძილზე ევაჭრნენ მიკაელ ესიენის გამო, მაგრამ მოლაპარაკება ოლამ ამ სიტყვებით დააგვირგვინა: „ჩელსელებს ჩვენ ბერეტიანი სოფლელები ვგონივართ. ვერ მივართვით. ესიენი არ იყიდება და ეს საქმე დახურულია. ლონდონმა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიგო, მაგრამ „ჩელსი“ მიკაელ ესიენს ვერ ეღირსება“.

გასულ კვირადღეს, დილით, ჟან მიშელ ოლამ თქვა, განელ ფეხბურთელს არსად არ გავუშვებო. ცოტა მოგვიანებით, „სტრასბურთან“ მატჩის შემდეგ, სხვანაირად აჭიკჭიკდა — პიტერ კინიონმა დამირეკა და ახალ წინადადებას გვთავაზობსო. თუმცა ოლამ საღამოს ბაზარზეც არ დაუკლო ფასი. ივნისის დასაწყისში 45 მილიონი ევრო რომ დაახეთქა, აღარ გადათქვა. კინიონის ნალაპარაკევი არ მოეწონა, რომან აბრამოვიჩთან შეხვედრაც იუარა და ეს სატრანსფერო ოროmტრიალი დაამთავრა.

„ლიონის“ პრეზიდენტი მიკაელ ესიენს ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს ჯამაგირის მომატებით. თან ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ოცნებობს: „მე უკვე ვხედავ ჩემპიონთა ლიგის 2006 წლის ფინალს. „ლიონი“ „ჩელსის“ შეხვდება, ესიენი კი თავით გაიტანს გამარჯვების გოლს და მას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბირინდელიმ ახალ წლამდე ჩაიმუხლა



ალესანდრო ბირინდელი

**იტალიური** „იუვენტუსის“ ექიმების ვარაუდი გამართლდა, ალესანდრო ბირინდელის ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა. 30 წლის მცველს მუხლის ჯვარედინი მყესები დაუშავდა და ექვსი თვე ვეღარ ითამაშებს.

„ბებერ ქალბატონს“ მარჯვენა ფლანგზე ისედაც პრობლემები ჰქონდა და ახლა სავარაუდოდ სულ ცოტა, ერთი მცველის შეძენა მოუწევს. ყველაზე რეალური კანდიდატი ისევ პორტუგალიელი მიგელია. თუმც გუნდის თავკაცი ფაბიო კაპელო არ ჩქარობს, ჯერ ვითარება კარგად უნდა შევაფასოთ და გადაწყვეტილება მერე მივიღოთო.

ვარჯიშის დროს მსუბუქად დაშავდა დავიდ ტრეზეგეც. ფრანგი ფორვარდი ალბათ 17 აგვისტოს ეროვნულ ნაკრებს კოტ დიუვართან ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება. საეჭვოა მისი იტალიის სუპერთასზე თამაშიც.

**გიორგი ქაქაბაძე**

# კორადი პარმა-შია

**საბოლოოდ** გადაწყდა ბერნარდო კორადის „პარმაში“ გადასვლის საკითხი. 29 წლის ფორვარდი მომავალ სეზონს „ენიო ტარდინიზე“ არენდის წესით გაატარებს. „ვალენსიას“ მისი გაყიდვა უფრო უნდოდა და პარმელებსაც ერჩივნათ, იგი ახლავე შეეძინათ, მაგრამ მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

ბერნარდო კორადი: „გუნდს გასული წარუმატებელი სეზონის მერე ვითარების შეცვლა უნდა. მე კი ესპანეთში ცუდი წელიწადი მქონდა და რეაბილიტაცია მჭირდება. ასე რომ, ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. იმედია, ძველებურად ავთამაშდები და ეროვნულ ნაკრებშიც დავიბრუნებ ადგილს“.

„ლაციოს“ ყოფილ თავდამსხმელს ალბერტო ჯილარდინოს შეცვლა მოუწევს. ცხადია, ეს რთული საქმე იქნება, მაგრამ „პარმას“ ახალ 11 ნომერს თუ დავუჯერებთ, იგი ამისთვის მზადაა. „ყველა ფეხბურთელი საკუთარ ისტორიას ქმნის. ვეცდები, ქომაგთა მოლოდინი გავამართლო. თვეზე მეტია, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, ახლა მთავარია, გუნდს მოვერგო“.

**გიორგი ქაქაბაძე**



ბერნარდო კორადი იტალიაში დაბრუნდა

# სანიოლმა ბაიერნის სიყვარულით ვალენსია უარყო

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა მედიასთან საუბარში ესპანური „ვალენსიას“ მისადმი ინტერესი დაადასტურა, თუმცა ამასთანავე განაცხადა, რომ კვლავაც ბავარიულ გიგანტში დარჩენას აპირებს.

„ვალენსიას“ ჩემი შეძენა სურს, მაგრამ უკვე 5 წელიწადია, რაც „ბაიერნში“ ვთამაშობ და აქაურობას ძალიან შევეჩვიე. დღევანდელ კლუბში თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩვენ ევროპის საუკეთესოებში შევდივართ და თუ შანსი მომეცა, კიდევ 5 სეზონს „ალიანს არენაზე“ სიამოვნებით დავრჩები“

სანიოლი, რომლის გერმანული კონტრაქტიც 2006 წლის ივნისში იწურება, ბეკენბაუერისა და რუმენიგეს გუნდთან ურთიერთობის გარკვევას ახლავე ცდილობს.

„კარგი იქნება, თუ ხელშეკრულების განახლების ამბავს უკვე სექტემბრისთვის მოვაგვარებთ. მსურს, ჩემპიონთა ლიგის დაწყებისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი იყოს“ — თქვა ალემანური გრანდის მცველმა.

**ლადო ხომერიკი**




ვილი სანიოლი

# სიჩევი ხარჩიკის ბრალია

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ფორვარდ დმიტრი სიჩევს გერმანიის ქალაქ ჰაილინგენში მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს, „ლოკო“ კი დღეს ვენის „რაპიდთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს. მოსკოველებს აქამდეც არ ჰყავდათ ბლომად მეგოლე და უფრო გაუჭირდებათ, რადგან სიჩევი დაახლოებით ექვსი თვე ვეღარ ითამაშებს, არადა, 21 წლის თავდამსხმელი ზუსტად ახლა შევიდა ფორმაში და გოლების გატანას უხშირა.

დმიტრი ლოსკოვი და მარატ იზმაილოვი ტრავმირებულნი არიან, ბილიალეტდინოვიც დაშავდა და ვლადიმერ ეშტრეკოვის გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაუძნელდება. შეგახსენებთ, რომ დმიტრი სიჩევი გასულ უქმეებზე ყაზანში „რუბინის“ მეკარე ხარჩიკთან შეჯახებისას დაშავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგის ბეჯითი ბელარუსი მოსწავლე

ბუნდესლიგაში გატარებული ხუთი წლის მერე ალექსანდრ გლებმა ოცნება აისრულა და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი სეზონიდან პლანეტის უმაღლეს ლიგაში მოსინჯავს ძალას. „შტუტგარტის" ბელარუს ნახევარმცველს ლონდონის „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს დაადგა თვალი, თუმც „მეთოფეთა" ფრანგმა მწვრთნელმა ტანხმელი და დაუღალავი ბელარუსის დასაკუთრება წლეულს ივნისშიღა მოახერხა. გლების გალონდონელებას „მეთოფენი" მას მერე უფრო დაეშურნენ, როცა გუნდი კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ და ბრაზილიელმა ედუმ დატოვეს.


არსენ ვენგერი


„არსენალს" ალექსანდრ გლების ეიმედება

## გლებს ედუმ სახლი და არსენალი დაუტოვა

„შტუტგარტში" გატარებული წლები მთელი ცხოვრება ტკბილად მომაგონდება — ამბობს გლები — ბელარუსიდან გერმანიაში გადასულს არავინ მიცნობდა და ამიტომაც ბევრი რამ მქონდა დასამტკიცებელი. საბედნიეროდ, ისეთ საუკეთესო მწვრთნელებთან მომიწია მუშაობა, ფელიქს მაგათი და მათიას ზამერი რომ არიან, სწორედ მათი წყალობით ჩამოვყალიბდი ნამდვილ ფეხბურთელად და ევროპაშიც დავიგდე სახელი".

„შტუტგარტში" თამაშისას გლებმა ბუნდესვერცხლით დაიმშვენა მკერდი, ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკა და გუნდიდან წასვლის სურვილიც გაამხილა. „მივხვდი, რომ გერმანიაში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე, წინსვლისთვის კლუბის გამოცვლის აუცილებლობაშიც დავრწმუნდი, თან ვიცოდი, რომ ჩემით „არსენალი" იყო დაინტერესებული — განაგრძობს ბელარუსი — ლონდონელებს კი უარს ნაღდად ვერ ვეტყოდი. ჩემი აზრით, „არსენალი" მსოფლიოს ხუთი საუკეთესო გუნდთაგან ერთერთია, შეუდარებელი ინფრასტრუქტურით, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით და ერთიც, „მეთოფენი" ხომ პლანეტის ყველაზე მიმზიდველ და ძლიერ ჩემპიონატში თამაშობენ".

24 წლის ბელარუსი ნახევარმცველი არსენ ვენგერის გუნდის სათამაშო მანერითაცაა აღფრთოვანებული.

„არსენალი" ტრადიციული ბრიტანული სტილის მიმდევარი სულაც არაა, პირიქით, ვენგერი უპირატესობას კონტინენტურ ფეხბურთს ანიჭებს. „მეთოფენი" ბურთის კონტროლს ცდილობენ და მოკლე, გამოზომილი პასებით მიიწევენ მეტოქის კარისკენ, სწორედ ასეთი სათამაშო სტილს ვეტრფი მეც" — ქებად დაიღვარა ახალგამომცხვარი „მეთოფე".

ლონდონში გადაბარგებული გლები კლუბის თავკაცებმა ლონდონიდან აბარგებული ედუს სახლში დააბინავეს, ინგლისური ენის მასწავლებელი დაუქირავეს, პრეზენტაციაზე კი „არსენალის" 13-ნომრიანი მაისურა მოარგეს და ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო... სადებიუტო-ამხანაგურ მატჩში ბელარუსმა „ბარნეტს" მე-2 წუთზე გაუტანა გოლი, პირველ ოფიციალურ მატჩში „ჩელსისთან" „ჩარითი შილდზე" კი შეცვლაზე ითამაშა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამის მიუხედავად, არსენ ვენგერს მისი ძალიან ეიმედება და გლებიც მწვრთნელის ნდობის გამართლებას ეშურება.

„შტუტგარტში" ნახევარდაცვის თითქმის ყველა პოზიციაზე მითამაშია, ორივე ფლანგზე მომისინჯავს ძალა, საყრდენობაც მიკისრია და გამთამაშებლობაც. ამიტომ ვენგერს და გუნდს სადაც გამოვადგები, იქ ვითამაშებ. ვიცი, რომ „არსენალი" ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგებას გეგმავს და ვიმედოვნებ, რომ საამსაქმოდ „მეთოფეებს" მეც დავეხმარები. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ბევრი უნდა ვისწავლო, არსენ ვენგერზე უკეთეს მასწავლებელს კი ვერც ვინატრებდი" — ასე დაასრულა ლიგა და სწავლამოწყურებულმა ალექსანდრ გლებმა უეფას ვებგვერდის კორესპონდენტთან საუბარი.

**სოსო კოტორეიშვილი**

# გერმანიის ნაკრები ეკლესიას დაუბრუნდა

## ალემანები სულიერად ძლიერდებიან

**გერმანიის** ეროვნულ გუნდს 2006 წლის შინაურ მუნდიალზე ლუთერანული ეკლესიის სახით მძლავრი ქომაგი ეყოლება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ქვეყნის ნაკრების თავკაცები ერთი ძველი ტრადიციის აღდგენას აპირებენ — ღირსი მამა ჰანს გეორგ ულრიხი მსოფლიოს ჩემპიონატზე იურგენ კლინსმანისა და მისი ბიჭების მოძღვარი იქნება და ბუნდესლიგის წევრების სულიერ განმტკიცებაზე იზრუნებს (ოფიციალური პასტორი გერმანელებს 1970, 74, 78 და 90 წლებში ჰყავდათ).


ჰანს გეორგ ულრიხი

„2006 წლის მუნდიალმა გერმანიის ნაკრებსა და ლუთერანულ ეკლესიას შორის კავშირის აღორძინებას ხელი უნდა შეუწყოს. მე ვთვლი, რომ პასტორის ნაკრებში ყოფნა აუცილებელია. გაიხსენეთ, ჰელმუტ შიონის მწვრთნელობისას სამოცდაათიან წლებში ეროვნული გუნდის დელეგაციაში მღვდელი ყოველთვის ირიცხებოდა — 70-ში, მესამე, ხოლო 74-ში პირველ ადგილზე გავედით. მერე იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ახლდა პასტორი ბუნდესნაკრებს, მაშინაც ოქროს მედლები მოვიგეთ. მას შემდეგ ყოფილ მწვრთნელთა ახირების გამო გუნდში აღარც ეკლესიური სული ყოფილა და აღარც მსოფლიოს თასი" — აცხადებს თავად მოძღვარი ულრიხი, რომელიც, თავადვე მიხვდებით, ქადაგებასა და ფეხბურთის მგზნებარე ფანობას ერთმანეთთან მშვენივრად ათავსებს...

**ლადო ხომერიკი**


ხორხე ბურუჩაგა

# მდოგვი გასცხარდა და წავიდა

**არგენტინულ** „ესტუდიანტესს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. „სტუდენტთა" ყოფილი დამრიგებელი რეინალდო მერლო მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა და კლუბის მესვეურებმაც თავკაცობა 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროსმედალოსან ხორხე ბურუჩაგას ანდეს.

სენიორ მერლომ პოსტის დატოვების ოფიციალურ მიზეზად „სტუდენტთა" პრეზიდენტ ხულიო ალეგრეს უპირობა დაასახელა.

„ალეგრე დამპირდა, რომ ჩვენს მცველ კრუპოვიერას „ბოკა ხუნიორსს" არ მივყიდიდით, თუმც შემდეგ სიტყვა არ შეასრულა და საჭირო უკანაზაზელი უკანასკნელ მომენტში სხვას გადაულოცა. იმ კლუბში არავითარ შემთხვევაში არ ვიმუშავებ, სადაც მეპატრონე იტყუება" — განაცხადა შეურაცხყოფილმა ექსდამრიგებელმა.

ისე, ცნობილია, რომ რეინალდო მერლოს ფიცხი ხასიათი აქვს და ამის გამო არგენტინაში „მოსტასას" ანუ „მდოგვს" ეძახიან...

ამრიგად, „ესტუდიანტესს" ბურუჩაგა გაწვრთნის, ვინც ადრე პატაგონიურ „არსენალს" თავკაცობდა.

**ლადო ხომერიკი**

# ვინ გამოეცხადა ზინედინ ზიდანს?

## ზიზუ ნაკრებში სასწაულს დაუბრუნებია

ამ ისტორიას არაფერი აქვს საერთო არც დიეგო მარადონას ღვთის ხელთან და არც კარლოს როას სექტანტობასთან, 2000 წელს ქვეყნიერების აღსასრული დგება და რა მეფეხბურთებაო.

ეს სხვა ისტორიაა — ოცდამეერთე საუკუნის უდიდესი საფეხბურთო მისტიკის ისტორია. ზინედინ ზიდანს განგება საფრანგეთის ნაკრებში აბრუნებს.



ზინედინ ზიდანი

**ფრანგული** კანალ პლიუსით გამოსვლისას ზინედინ ზიდანმა გამოაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ბრუნდება. ეს სენსაციური განცხადება იყო, რაკი ზიდანი რომელიღაც მოდური მსახიობი არ არის, სცენას ასჯერ რომ ემშვიდობება და ასჯერვე ბრუნდება. ის არც თავში ნახსენები დიეგო არმანდოა, ასევე ბევრჯერ რომ დაუბრუნდა ფეხბურთს. ის ზიდანია, სერიოზული კაცი, გადაწყვეტილებას გვარიანი ფიქრის მერე რომ იღებს, ხოლო მერე აღარ ცვლის.

და მაინც, უფრო სწორად კი ამიტომ, ზინადის ნაკრებში დაბრუნება ერთ წამში დიდ სენსაციად იქცა, „ლურჯთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა საჩქაროდ უბოძა კაპიტნობა, თუმცა სენსაცია თურმე წინ იყო...

იმ წამსვე ათასი მითქმა-მოთქმა ატყდა, რომელთაგან ყველაზე მეტჯერ ის ითქვა, ზიდანი ნაკრებში დაბრუნებაზე სპონსორებმა დაიყოლიეს, რომლებიც მისი იმიჯის გაყიდვით მილიონებს შოულობენო.

ბურუსი ისევ ზიდანმა გაფანტა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ...

ზინედინ ზიდანი: „ამ ამბით დიდი ხმაურის ატეხვა არ მსურს, მაგრამ როცა ვიგებ, რომ ნაკრებში დაბრუნება თურმე „ადიდასმა", „ორანჟმა", „კანალ პლუსმა", TF1-მა თუ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაიძულა, ვერ გავჩუმდები. თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მე ასე ვცვლი ჩემს გადაწყვეტილებებს?

რასაც ვიტყვი, დაუჯერებლად, მისტიკურად ჟღერს და თავად არ შემიძლია ახსნა, მაგრამ რაც მოხდა იმას მოვყვები.

გამთენიისას, სამი საათი იქნებოდა, უცებ გამეღვიძა. ვიღაც მელაპარაკებოდა. შთამაგონა, რომ ნაკრებში უნდა დავბრუნებულიყავი. მერე ის ვიღაც გაქრა, ნამდვილი მისტერია იყო. არავისთვის არაფერი მითქვამს, ჩემი ცოლისთვისაც კი. დილას სახლში ვიჯექი, გაოგნებული ვიყავი, ვერ ამეხსნა, რა მოხდა. და უცებ გადაწყვეტილება მივიღე. მაშინვე შვება ვიგრძენი, თითქოს ზემოდან ვიღაც მაიძულებდა ამ გადაწყვეტილების მიღებას.

ია, ასე იყო. მე ამას ვერ ვხსნი. მსგავსი რამ არასდროს დამმართნია.

ახლა თქვენ უკვე იცით, რაც შემემთხვა. ჩემი დაბრუნების ერთადერთი მიზეზი ეს არის."

ზინედინ ზიდანის ამ განცხადებას ჩვენ ვერაფერს დავძენთ.

**კოტე კეკელია**

# კასანო არ იქნება!

## ხულიგანი რომში რჩება?

**როგორც** კი იტალიურ „რომას" სატრანსფერო ემბარგო ახსნეს, აპენინურ პრესაში ერთი ამბავი ატყდა, ახლა ანტონიო კასანო ნამდვილად დატოვებს „სტადიო ოლიმპიკოს". მის მთავარ მსურველად ისევ „იუვენტუსი" მოიაზრება. ხოლო ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ კასანოს „დელე ალპიზე" გამოჩენა კიდევ ერთხელ გამორიცხა: „რომასთვის" ძალიან კარგია, რომ ემბარგო მოხსნეს, რასაც ვულოცავთ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ახლა კასანოს შევიძენთ. საპირისპიროს მტკიცებას აზრი არა აქვს. უბრალოდ, დროს დავკარგვთ".

„დარწმუნებული ვარ, ანტონიო გუნდში დარჩება. ახლა ჩვენ მოთამაშეების დამატება შეგვიძლია, რაც უფრო გაგვაძლიერებს" — ეს კი „რომას" თავკაც ლუჩანო სპალეტის სიტყვებია.

თუმც კასანოს აგენტ ფრანკო ძავალიას განსხვავებული აზრი აქვს. იგი დედაქალაქელებს დათმობისკენ მოუწოდებს და თვლის, რომ კასანოს „ოლიმპიკოს" დატოვება ნებისმიერ წუთს შეუძლია.

„ანტონიოს" შეძენა რომელიმე გრანდმა რომ ისურვოს, „გლადიატორები" უძლურნი იქნებიან. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სურს თავად კასანოს. „რომას" უფროსობამ ასევე უნდა გაიაზროს, რომ კლუბისადმი ყველას ისეთი დამოკიდებულება არა აქვს, როგორიც ფრანჩესკო ტოტის" — აღნიშნა ძავალიამ.



„რომა" ანტონიო კასანოს ეპოტინება

„ჯალოროსის" სპორტული დირექტორი დანიელე პრაიდა კი მადლობებს იხდის: „დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ აპელაციის მოგებაში დაგვეხმარა. ჩვენმა იურისტებმა ბრწყინვალედ და თავდაუზოგავად იშრომეს. ასევე გამოვარჩევდი იტალიის ფეხბურთის ფედერაციას და ლიგის პრეზიდენტ ადრიანო გალიანის, რომელიც ნამდვილად გვერდზე დაგვიდგა. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ახალწვეულებს და მათ აგენტებს, რომლებმაც მიუხედავად ჩახლართული ვითარებისა, ბოლომდე დაგვიცადეს".

**გიორგი კაკაბაძე**



კლაუდიო ლოპესი ევროპაში ბრუნდება

# ლოპესი ძალიან მალე

## ენდი ცოტა მოგვიანებით

**როგორც ჩანს,** „ესპანიოლის" მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა ბოლოს და ბოლოს იმ სასურველ თავდამსხმელს მიიღებს, რომლის შესახებაც კლუბის მეპატრონეს მთელი სეზონთაშორისი პერიოდის განმავლობაში ელაპარაკებოდა — არგენტინელი „პიოხო" ლოპესი მალე კატალონიური გუნდის მაისურას მოირგებს.

„მარკას" ცნობით, „ესპანიოლსა" და პიოხოს ამჟამინდელ მექსიკურ „ამერიკას" ორიოდ დღის წინ მიუღწევიათ შეთანხმებისთვის. ლოპესი სავარაუდოდ „მონჟუიკზს" მომავალი ორი სეზონის განმავლობაში დარჩება. სენიორ ლოტინას შტაბი კი ოკეანისგაღმელ ფორვარდში არაფერს გადაიხდის, რადგან ფორვარდის „ამერიკასთან" ხელშეკრულების თანახმად, თუ მისი შეძენით რაიმე ევროპული გუნდი დაინტერესდა, მექსიკელები თავიანთ მოიერიშეს თავისუფალი აგენტის სტატუსს გაუშვებენ.

„ლოპესი გამოცდილი ფეხბურთელია და მას „ესპანიოლისთვის" ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მოხარული ვიქნები, თუ „ამერიკასთან" სატრანსფერო საქმეს მალე მოვაგვარებთ" — თქვა ლოტინამ, ვინც მიუხედავად პიოხოსთან დაკავშირებული ამბებისა, მეორე არგენტინელი მოიერიშის ხავიერ სავიოლას შეძენაზეც არ იტყოდა უარს. თუმცა „ბარსელონა" თანაქალაქელ მეტოქეს მას არამც და არამც არ აძლევს... „მონჟუიკის" თავკაცები მაინც იმედიანად არიან, რახან „ბაჭია" ჯერ ისევ „კამპ ნოუზეა" და სხვა კლუბი არ უპოვნია.

გარდა თავდასხმის ხაზისა, „ესპანიოლში" ნახევარდაცვაზეც ფიქრობენ და „ინტერის" ჰოლანდიელი მობურთალის, ენდი ვან დერ მეიდეს გადაბირებაც დაუგეგმავთ.

ამსტერდამის „აიაქსის" ყოფილ ნახევარმცველს, „ინტერში" ძირითად სათადარიგოებში ყოფნა უწევს. ახლა როცა „სან სიროს" ქვემდინარე დელი ლუიშ ფიგუ მოევლინა, ვან დერ მეიდეს სასტარტო თერთმეტში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად ნულს გაუტოლდა. ამიტომაც იგი უკვე ახალ კლუბს ეძებს და მოლაპარაკებისთვის მზად არიან ჰოლანდიელი გასხვისონ. „ესპანიოლის" ინტერესებზე იტალიელთა თავკაცობამ „უკვე ყველაფერი იცისო" — წერდა გუშინდელი „მარკა".

**ლადო ხომერიკი**

# უიგანი საჩემპიონოდ ემზადება

**პრემიერლიგის** ახალწვეული „უიგანი" ყველანაირად ცდილობს სეზონის დაწყებამდე კიდევ უფრო გაძლიერდეს. რამდენიმე მოთამაშის დამატების შემდეგ პოლ ჯიუელის გუნდი იოსეფ სკოკოსა და არიან დე ზუევს მიადგა.

ავსტრალიელი სკოკო თურქული „გენჩლერის" ლიდერია, მაგრამ თუ კლუბები მოილაპარაკებენ პრემიერლიგაში სიამოვნებით გადაბარგდება.

რაც შეეხება დე ზუევს იგი „უიგანის" ყოფილი ფეხბურთელია და უკან დაბრუნება ძალიან სურს. ჰოლანდიელმა მცველმა ბოლო წლები „პორტსმუთის" რიგებში გაატარა. 35 წლის დე ზუევი ლონდონელთა კაპიტანი და დაცვის ბურჯი იყო, მაგრამ ახლა ორივე მხარე მზად არის თანამშრომლობის გასაწყვეტად.

„ასიანი უკვე ჩვენთან ერთად არის და მისით აღფრთოვანებული ვარ. ასეთ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი, თან ასეთ ასაკში დიდი ხანია არ მინახავს. იმედია „პორტსმუთთან" ყველაფერს მალე შევათავსებთ" — თქვა ჯიუელმა.

აქვე ვთქვათ, რომ „უიგანი" ჯერ რას პრემიერლიგის პირველ ტურში ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ლონდონის „ჩელსის" ხვდება.

**გიორგი კაკაბაძე**

# გენუაში ჯენოაზე ღელავენ

**გენუელი** ქომაგები ვერაფრით ეგუებიან საყვარელი გუნდის სერია C1-ში დაქვეითებას და საპროტესტო აქციებს აწყობენ. ისინი იტალიის ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილების გაუქმებას და „ჯენოას" სერია A-ში დაბრუნებას სთხოვენ.

მათ იტალიის თასზე „ალესანდრიასთან" მატჩიც ჩაშალეს. გულშემატკივრებმა მინდორი პეტარდებით გაავსეს და ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ. მუდმივი არეულობაა ქალაქშიც, გაბრაზებული ქომაგები ყოველდღე აურზაურს იწყევენ.

ბოლოს დაახლოებით ორიასთასამდე ქომაგს პოლიციასთან მოუხდა შეხლა-შემოხლა. მათ სამართალდამცავებს ბოთლები, ქვები და სხვადასხვა საგნები ესროლეს. პოლიციამ რამდენიმე მათგანი დააკავა.

ამ ყველაფერმა „ჯენოას" ისედაც რთული მდგომარეობა ეგებ კიდევ უფრო დაამძიმოს.

**გიორგი კაკაბაძე**



კარლო ანჩელოტი

# დაქირავებული ანჩელოტი კრესპოს მამა ყოფილა

**„ჩელსი"**, „მილანი" და კვლავ „ჩელსი". ერნან კრესპოსთვის ინგლისიდან იტალიაში წასვლა და უკან დაბრუნება იმით დასრულდა, რომ ლონდონური კლუბის ფანებმა „დაქირავებული" შეარქვეს. კრესპო არა მხოლოდ უარყოფს ბრალდებას, არამედ თავის ბედს ტიერი ანრისას ადარებს და „მილანში" გადასვლას ამართლებს.

2003 წლის ზაფხულში „ინტერიდან" „ჩელსიში" გადაბარგებული ფორვარდი ტრავმამ დატანჯა და სათადარიგოებში ჩიკარგა. „როცა პრობლემები ჩნდება, ადამიანი თავის გაჭირვებას ოჯახს უზიარებს და დახმარებას სთხოვს — ამბობს კრესპო — 20 წლისა იტალიაში რომ ჩავედი, ჩემი პირველი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იყო. მან მაზიარა იტალიურ კულტურას, და მამასავით ზრუნავდა ჩემზე, ისე მიხსნიდა ფეხბურთის წვრილმანებს, რომ ყველაფერს კარგად ვიგებდი. „ჩელსიში" რომ გაჭირდა და დეპრესიაში ჩავვარდი, სხვა გზა აღარ მქონდა — „მილანში", კარლო ანჩელოტისთან დავბრუნდი. ვინ დაიხსნა ტიერი ანრი „იუვენტუსიდან"? — არსენ ვენგერმა, რადგან მისი აღმოჩენილი იყო და ანრის კარგად იცნობდა. ნებისმიერ ფეხბურთელს სჭირდება ყურადღება და ამის შემდეგ თამაშდება. ლონდონელმა გულშემატკივრებმა უნდა გაიგონ და მაპატიონ".

კრესპომ, როგორც ფორვარდმა, იცის, რომ „ჩელსისგან" მის სანაცვლოდ გადახდილი 16 მილიონი გირვანქა კისერზე აწევს. 2003-2004 წლების სეზონში მან მხოლოდ 16 გოლი გაიტანა. „ჩელსის" ქომაგებს ცოტა გოლებზე უფრო მეტად კრესპოს საქციელი აღიზიანებდათ, ხშირად მოედანზე მხრებს იჩეჩავდა: ვერაფერი გავიგეთ. თან ვარჯიშებზე იგვიანებდა. შარშან ზაფხულს კი შვებულებიდან რომ დროზე ვერ დაბრუნდა, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ერნან კრესპომ მოგვიანებით დაიჩივლა, ტკბილი დასრულებული მქონდა, ინგლისს ვერ შევეჩვიე, ენასაც ვერ ვსწავლობდი, კარიერის დასრულებაზეც კი ვფიქრობდი. უინსტონ ბოგარდისგან განსხვავებით, რომელიც სათადარიგოთა სკამზე მშვიდად იჯდა და გვარიან ჯამაგირსაც იჯიბავდა, კრესპომ კლუბის პატრონთან შეხვედრა ითხოვა: „აბრამოვიჩს ვუთხარი, რომ მისგან მუქთა ფულის აღება არ მსურდა. მინდოდა, მეთამაშა და ხელფასი ალალად შემრგებოდა, რათა მასთან ვალში არ დავრჩენილიყავი. „ჩელსიში" გატარებული სეზონით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. ტრავმის მიუხედავად, 10 გოლი მოვაგროვე. „ვულვერჰემპტონის", „ფულემისა" და „არსენალის" კარში გატანილი ბურთები განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა. ახლა ვგრძნობ, შარშან გუნდიდან რომ არ წავსულიყავი, აქაურობას შევეგუებოდი და ათზე მეტს გავიტანდი".

ერნან კრესპო ჩელსელებსაც უჩივის, ინგლისში ჩასულს არაფრით დამეხმარნენო. რომან აბრამოვიჩმა კლუბი რომ იყიდა, ეითარება აირია და კარგა ხანს ვერ დალაგდა. „ჩელსი" თითქმის ყოველდღე ახალ ფეხბურთელს ყიდულობდა, კლაუდიო რანიერიმ კი მათთან ურთიერთობის დალაგება მოკლე დროში ვერ შეძლო.

რანიერის შემცვლელმა ჟოზე მაურინიუმ კრესპო „მილანში" გაუშვა, გუნდი კი მოაწესრიგა. არგენტინელი, რომელსაც ივლისში 30 წელი შეუსრულდა, ახლა მაურინიუს ხელქვეითია, თუმცა არ მალავს, რომ მას და მის ოჯახსაც მილანში დარჩენა სურდათ.

ექვს კლუბში ნათამაშევ 284 მატჩში ერნან კრესპომ 151 გოლი მიითვალა. 51 სანაკრებო შეხვედრაში კი — 26. საზაფხულო ამერიკულ ტურნეში „ჩელსიმ" „დისი იუნაიტედი" მისი გოლით დაამარცხა და მაურინიუს თავი შეახსენა.

„რამდენს გაიტან ამ სეზონში?" — კითხულობს კრესპო — არ ვიცი, მაგრამ მინდა, რომ 20 გოლით მაინც შევეწიო გუნდს".

**როი ძოლინზი რობტერი**

# რიო ასიანია
## ჩემი ცოლი და აილტონი

**ვაჭრობა**, რომელიც ერთი თვე გრძელდებოდა, დასრულდა — რიო ფერდინანდმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფერნანდო ჯამაგირის გაზრდას ითხოვდა, რის გამოც ფანებმა შეიძულეს. სეზონისწინა მატჩებზე უსტვინეს და მოღალატედ „მონათლეს".

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების მცველს რომან აბრამოვიჩი ყურთან ქისას უჩხრიალებდა და ფერდინანდსაც ფეხი კინაღამ „ჩელსისკენ" დაუცდა. კონტრაქტის გახანგრძლივება გააჯანჯლა, ალექს ფერგიუსონს კი ნერვები დააწყვეტა. საბოლოოდ კლუბი და ფეხბურთელი მორიგდნენ. რიო ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედში" 2009 წლამდე დარჩება. „ახალგაფორმებული" მცველი კვირაში სავარაუდოდ 100 ათას გირვანქას მიითვლის.

ზოგს ასი ათასი კვირაში, ზოგს კი — „ბეშიქთაში", მანჩესტერელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი კლებერსონი სტამბოლურ კლუბში გადავიდა. თურქებმა მის სანაცვლოდ 2,5 მილიონი ევრო გაიმეტეს. სტამბოლის აეროპორტში კლებერსონს „შავი არწივის" ფანები სიმღერით და ცეკვა-თამაშით დახვდნენ. ბრაზილიელი ახალ კლუბში არ მოიწყენს, რადგან თვისტომი აილტონი გვერდით ეყოლება.

„ასე არსად არ დამხვედრიან — თქვა გაოცებულმა კლებერსონმა — თავს უკვე ბედნიერად ვგრძნობ. „ბეშიქთაშში" თამაშზე ყაბულს ვიყავი, მაგრამ სანამ ჩემმა ცოლმა სტამბოლი არ ნახა, ვერ დავითანხმე. აილტონსაც დავეკითხე გუნდის შესახებ და მან იქაურობა აქო".



რიო ფერდინანდი „მანჩესტერში" რჩება

კლებერსონი „მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი წლის წინ „ატლეტიკო პარანაენსესგან" 12 მილიონ დოლარად შეიძინა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ჩაეწერა, ამას „საუთჰემპტონთან" ტრავმაც დაერთო, რასაც სარეზერვო გუნდში გადაყვანა მოჰყვა.

**მაშა ხუციშვილი**

# ოუენს სამშობლო მოენატრა

**მაიკლ ოუენი** კარიერას სავარაუდოდ „სანტიაგო ბერნაბეუზე" აღარ გააგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ „ტაიმსთან" ინტერვიუში ინგლისელმა ფრთხილად აღნიშნა, „რეალში" დასარჩენად მენტალურად მზად ვარო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ლივერპულის" ყოფილი ვარსკვლავი ჭუნა მალე მშობლიურ ალბიონზე დაბრუნდება. „ამ ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. გამიხარდება, თუ ისევ პრემიერლიგაში ვითამაშებ, „რეალმა" დიდი გამოცდილება შემძინა და ინგლისს ადრინდელზე ძლიერ მობურთალად დავუბრუნდები" — განაცხადა ოუენმა.

მის ხელში ჩასაგდებად ამჟამად ალბიონური „ნიუკასლი" და ფრანგული „ლიონი" იბრძვიან („მანჩესტერ იუნაიტედი" რბოლას გამოაკლდა. გუშინ „ოლდ ტრეფორდის" საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მაიკლის შესახებ „რეალისთვის" არ მიუმართავთ).




მაიკლ ოუენი

მადრიდელთა ფორვარდის მოსანადირებლად შედარებით უკეთესი შანსები „ნიუკასლს" აქვს. „ჩვენ „რეალს" ოუენზე უკვე ვესაუბრეთ, თუმცა ფინანსურ ოპერაციებზე არ დავკონკრეტებულვართ" — თქვა ფრედი შეპარდმა, „კაჭკაჭების" პრეზიდენტმა.

იქაური ლეგენდაც, ალან შირერი, მეგობარს გულითადად ეხმიანება: „ოუენი პრემიერლიგის ნებისმიერი გუნდისთვის საჩუქარს წარმოადგენს და გამონაკლისი არც „ნიუკასლია". მოვიდეს მაიკლი, ბედნიერი ვიქნები, ჩემს გვერდით თუ იბურთავებს...".

რაც შეეხება „ლიონს", ფრანგები ვარსკვლავებიჭუნას საქმეში ნაკლებად აქტიურობენ, თუმცა მათმა პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, „ლიონს" ოუენის სატრანსფერო ოპერაციის ჩატარება არ გაუჭირდებაო. შეგახსენებთ, რომ „რეალმა" ამ ზაფხულს ბრაზილიელი მოთამაშეები ბაპტისტა და რობინიო შეიძინა, რის გამოც ინგლისელის შანსები ძირითადში მოსახვედრად ფრიად შემცირდა. არ არის გამორიცხული, მაიკლის „ბერნაბეუზე" დარჩენა-არდარჩენის საქმე უახლოეს დღეებში გადაწყდეს.

**ლადო ხომერიკი**

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა. 1 ტური**

**აუე 2:1 ალემანია**

1:0 ტრეკოვი (34) 1:1 ს. როსლერი (60), 2:1 დოსტალეკი (63)

**ისლანდია**

**პრიმერადივიზიონი**

**XXIII ტური**

**ფრამი — ვალური 2:1**

**სამწუხაროდ,** ანდრადეს კარიერისა და საერთოდ ცხოვრების დეტალები შემონახული არ არის, თუმცა ის ინფორმაცია, რაც მოიპოვება, სავსებით საკმარისია, რომ წარმოდგენა შეგვექმნას „ფეხბურთის მუსიკოსად" და „შავ საოცრებად" წოდებულ მოთამაშეზე.

ხოსე ლეანდრო ანდრადე მონტევიდეოს ერთ-ერთ უბრალო უბანში დაიბადა და სიღარიბეში იზრდებოდა. ფეხბურთის გარდა მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ცეკვა და მუსიკა. შემდგომში შესანიშნავად ისწავლა სამბა, რუმბა, ტანგო, კანდომბესა (ურუგვაელთა ნაციონალური ცეკვა) და ასე შემდეგ. ანდრადემ საკუთარი საცეკვაო ჯგუფიც კი ჩამოაყალიბა, რომელსაც სახელად „ღარიბი კუბელი ზანგები" დაარქვა, რადგან მისი წინაპრები წარმოშობით კუბიდან იყვნენ.

ანდრადემ საკლუბო კარიერის მანძილზე არაერთი გუნდი გამოიცვალა, თუმცა საუკეთესო წლები ურუგვაის უძლიერეს კლუბ „პენიაროლში" გაატარა, რომელთან ერთადაც რამდენიმე შედეგიანი სეზონი ჩაატარა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

თუმცა მისი მთავარი წარმატებები ეროვნულ ნაკრებს უკავშირდება, რომელთან ერთადაც ანდრადემ თავისი პირველი ტიტული 1923 წელს მოიპოვა. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე ურუგვაელებმა სამივე მეტოქე დაამარცხეს და მეოთხედ აქციეს საკუთარი ქვეყანა კონტინენტზე უძლიერესად.

ურუგვაელებმა არგენტინასა და პარაგვაის ერთნაირი ანგარიშით 2:0 მოუგეს, ხოლო ბრაზილიელებთან 2:1 იმარჯვეს. ეს იყო იმ ბრწყინვალე თაობის და მათ შორის ანდრადეს პირველი დიდი წარმატება.

20-იან წლებში ევროპამ სამხრეთამერიკული ფეხბურთის გაცნობა დაიწყო. ბებერი კონტინენტის ბინადრებმა ერთადერთი, რაც იცოდნენ, ის იყო, რომ იქაური გუნდები და ნაკრებები ცოტა სხვაგვარად, უფრო არტისტულად თამაშობდნენ.

1924 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც პარიზში იმართებოდა, პირველად ჩავიდა იმ დროის სამხრეთ ამერიკის უძლიერესი წარმომადგენელი. ურუგვაის პირველ

# ...და არ ცაზე ვარსკვლავები

# ხოსე ლეანდრო ანდრადე

# შავი საოცრება

## მისთვის ფეხბურთი მუსიკა იყო



**ალბათ ყველა ჩვენგანს მოუსმენია, წაუკითხავს თუ უნახავს ამბავი 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოგეხსენებათ, მასში ურუგვაის ბრწყინვალე ნაკრებმა იმარჯვა, რომლის რიგებშიც მრავალი დიდებული მოთამაშე გამოდიოდა. განსაკუთრებით კი ერთ-ერთი მათგანი გამოირჩეოდა და იგი საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. გაინტერესებთ ვინ იყო ხოსე ლეანდრო ანდრადე? შევეცდებით, თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ.**

**იგი ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელია, რომელიც ნამდვილ ლეგენდად სიცოცხლეშივე იქცა. ეს კი მნიშვნელოვნად განაპირობა ზემოხსენებულ 1930 წლის მუნდიალზე ურუგვაელთა ტრიუმფმა და იმდროინდელი ვითარების მიუხედავად, შავკანიანი ანდრადეს მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებამ.**

მეტოქედ მაშინ ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები იუგოსლავია ერგო. მატჩამდე ევროპელებმა, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რას და როგორ თამაშობდა სამხრეთ ამერიკიდან ჩამოსული გუნდი, ეშმაკურ ხერხს მიმართეს, მოწინააღმდეგის ვარჯიშზე დამკვირვებლები შეგზავნეს. ურუგვაელები ყველაფერს მიხვდნენ და თავადაც იეშმაკეს, განგებ დაიწყეს კარში ისე ლარტყმა, რომ ბურთი ან ძალიან მაღლა აფრინდებოდა ხოლმე, ანაც საერთოდ აუტში გადადიდა. კიდევ სხვა ამგვარი ტრიუკების შემდეგ კმაყოფილი მსტოვრები თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ და იქაურებს სიცილით აცნობეს, იმათ ფეხბურთის არაფერი გაეგებათო.

მატჩის შედეგმა ყველა, ეგებ თავად ურუგვაელებიც კი შოკში ჩააგდო. სამხრეთამერიკელებმა შანსი არ დაუტოვეს იუგოსლავიელებს და 7:0 გაანადგურეს. ანდრადეს გოლი არ გაუტანია, თუმცა იგი ამით არასდროს გამოირჩეოდა, ხალხი მისით ლამაზი, განსაკუთრებული თამაშის მანერისა და „ჟონგლიორობის" გამო იყო აღფრთოვანებული.

იუგოსლავიის შემდეგ აშშ-ს ჯერი დადგა, რომელსაც ურუგვაიმ მხოლოდ 3 ბურთი აკმარა, საკუთარი კარი კი კვლავაც მშრალად შეინახა. იმ მატჩში ჰეთ თრიქი მთელი ტურნირის მანძილზე ჩინებულად და შედეგიანად მოთამაშე პედრო პეტრონემ შეასრულა.

მეოთხედფინალში ურუგვაის მეტოქე ოლიმპიადის მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები იყო. სამხრეთამერიკელებმა კიდევ ერთი შესანიშნავი სანახაობა აჩუქეს მაყურებლებს და მასპინძლები უმოწყალოდ, 5:1 გაანადგურეს. ამ მატჩში ანდრადე ჩვეულ სტილში მშვენივრად ბურთაობდა, მაგრამ ერთი ეპიზოდი განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი გამოვიდა. მან დაახლოებით 75 მეტრი ბურთის თავით კენწვლით გაიარა, რასაც საბოლოოდ ფრანგთა კარის მეოთხედ აღება მოჰყვა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ეს შეტევა თავადვე ანდრადემ დააგვირგვინა, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით იმ შეხვედრაში მას გოლი არ გაუტანია. თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. მთავარი ის საუცხოო დრიბლინგია, რომელიც „შავმა საოცრებამ" განახორციელა. სხვათა შორის, მან ამგვარი ტრიუკი რამდენჯერმე სხვა მატჩებშიც გაიმეორა.

ურუგვაისთვის ყველაზე რთული ნახევარფინალური მატჩი გამოდგა, თუმც ექტორ სკარონესა და ჩეას გოლების წყალობით სამხრეთამერიკელებმა მაინც სძლიეს ჰოლანდიას, მინიმალური ანგარიშით 2:1, საერთოდ პარიზის ოლიმპიადაზე ურუგვაიმ ხუთ შეხვედრაში 20 გოლი გაიტანა და მხოლოდ 2 გაუშვა. აქედან 8 ბურთი პედრო პეტრონემ მიითვალა, ხოლო ოთხ-ოთხი ჩეამ და სკარონემ. სამჯერ ანხელ რომანომ იხეირა, ხოლო ერთხელ ვიდალმა. ანდრადეს „თავი არ გამოუჩენია", მაგრამ გულშემატკივართა უმეტესობის აზრით, ტურნირის მთავარი გმირი სწორედ იგი გახლდათ.

ფინალში ურუგვაი მაშინ ევროპის უძლიერეს ნაკრებად მიჩნეულ შვეიცარიის დუპარისნენა [illegible] (რომელმაც ტურნირი სამხრეთამერიკელებზე უფრო [illegible] დაიწყო ლიტვულების [illegible] — 9:0). შვეიცარიელთა რიგებში იმ დროს ბრიწყინავდა მაქს [illegible] „ქსამ" აბეგლენი, თუმცა [illegible] ნათლად აჩვენა, რომ აბეგლენი და მისი გუნდი სამხრეთამერიკელებთან უძლური იყო. ურუგვაიმ [illegible] 3:0 იმარჯვა და 1924 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

სამხრეთამერიკელთა თამაშით მთელი პარიზი აღფრთოვანებული იყო, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას ყველა ანდრადეს აქცევდა. ღარიბი შავკანიანი ბიჭი მოულოდნელად უამრავი ადამიანის კერპად იქცა. იგი სხვადასხვა [illegible] სალამოებიდან იღებდა მოწვევებს, არიგებდა ავტოგრაფს, მღეროდა და [illegible] ღამის კლუბებში, ქუჩაში [illegible] ბი ცდილობდნენ მისი [illegible] და მოძრაობების გამეორებას. ბუნებრივია, ამან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ანდრადეზე და იგი გუნდს სამშობლოში არ გაჰყვა. რამდენიმე თვის შემდეგ [illegible] ბოლო [illegible] [illegible] [illegible] თში, კერძოდ მის [illegible] გატარებულმა დრომ იმდენად [illegible] მოვნო მოგონებები დაუტოვა ანდრადეს, რომ შემდგომში იგი ძალიან ხშირად და დიდი სიხარულით სტუმრობდა პარიზს.

უდისციპლინობა მისი ერთ-ერთი მთავარი მინუსი გახლდათ. ანდრადესთვის ფეხბურთის თამაში [illegible] ან მუსიკალურ [illegible] დაკვრა იყო, ასეც შეარქვეს — „ფეხბურთის მუსიკოსი", თუმცა [illegible] მშობლიური [illegible] ბულმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს მაინც ჩაუსწრო და 1924 წლის თანაგუნდელებთან ერთად ურუგვაი ზედიზედ მეორედ გახადა კონტინენტის უძლიერესი ნაკრები.

მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ში ბრწყინავდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც [illegible] [illegible], პეტრონე, ჩეა, [illegible], რომანო, სკარონე (ცოტა მოგვიანებით ლეგენდარული [illegible] ხმელი კასტრო) და სხვები, ხალხისა და სპეციალისტების რჩეული მაინც ხოსე ლეანდრო ანდრადე გახლდათ. იგივე ექტორ სკარონე (რომელიც 29 გოლით დიდხანს ურუგვაის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი) და სხვა თანაგუნდელები გაცილებით მეტს [illegible] — შედეგიანი გადაცემა თუ გოლი მიაქონდა გუნდისთვის, მაგრამ [illegible] ვინ ვერ თამაშობდა ისე [illegible] რად, როგორც „შავი საოცრება".

აქვე შევნიშნავ, საინტერესო ... [illegible] ანდრადეს და ფეხბურთის [illegible] გუნდის შორის. [illegible] მეე არის შემონახული [illegible] თუ როგორ [illegible] წვება, მერე ისევ [illegible] ლისას ანდრადე. მას შემდეგ [illegible] ულის ნებისმიერ ნაწილში [illegible] ბულად ეთამაშა, [illegible] კუთრებულად [illegible] ბისგან გამორჩეული [illegible] ლებით იგი ძალიან [illegible] არმაბდო მარადონას, [illegible] ზის, შემდეგ ამსტერდამის ოლიმპიადისა და 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ანდრადე [illegible] თი პოპულარული იყო, როგორც შემდგომში პელე გახდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



1930 წლის ლეგენდარული ურუგვაის ნაკრები

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 15:45 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 18:00 | 2 | ფულემი-ბირმინგემი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 3 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 7 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 20:15 | 8 | მიდლსბრო-ლივერპული | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | არსენალი-ნიუკასლი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| 19:00 | 10 | უიგანი-ჩელსი | 8.00 | 4.50 | 1.35 | 2.88 | 1.15 | 1.03 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 46 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 69 | ბოსტონი-შრიუსბერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 70 | ოქსფორდი-ტორკი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 155 | ზალცბურგი-ტიროლი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 152 | გრაცერი-რაპიდი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 21:30 | 153 | მატერსბურგი-რიდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:30 | 154 | პაშინგი-ადმირა | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:30 | 156 | აუსტრია-შტურმი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 157 | აუსტრია(ლ)-ალტახი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21:00 | 158 | ლინცერი-აუსტრია(მ) | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:00 | 159 | ლეობენი-შვანენშტადტი | 1.50 | 3.40 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.15 |
| 21:00 | 160 | გრატკორნი-კაფენბერგი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:00 | 161 | კერნტენი-კუფშტაინი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 19:15 | 176 | პსჟ-ტულუზი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 22:00 | 177 | სტ.ეტიენი-მეცი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 22:00 | 178 | ისერი-ბორდო | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 22:00 | 179 | ლე მანი-რენი | 2.50 | 2.90 | 2.80 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 22:00 | 180 | ლილი-ტრუა | 1.55 | 3.30 | 5.80 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 22:00 | 181 | ნანსი-ლანსი | 2.70 | 2.80 | 2.75 | 1.37 | 1.36 | 1.38 |
| 22:00 | 182 | ნანტი-აიაჩო | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 22:00 | 183 | ნიცა-სოშო | 1.95 | 3.00 | 3.70 | 1.18 | 1.27 | 1.65 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 184 | სტრასბური-მონაკო | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 185 | მარსელი-ლიონი | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 198 | ლუვიე-გენტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 199 | ბრიუსელი-ბრიუგე | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 22:00 | 200 | მუსკრონი-ლოკერენი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 201 | ბეერსხოტი-ვესტერლო | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 202 | სერკლი-ანდერლეხტი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 17:00 | 203 | ლიერსი-სტ.ტრუიდენი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 17:00 | 204 | რუზელარე-ბევერენი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 205 | ვარეგემი-სტანდარდი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 22:00 | 206 | გენკი-შარლერუა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 207 | ალკმაარი-სპარტა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 208 | ჰერაკლესი-პსვ | 6.50 | 4.50 | 1.35 | 2.65 | 1.11 | 1.03 |
| 21:30 | 209 | როდა-ტვენტე | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 21:30 | 210 | ტილბურგი-ვალვაიკი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:00 | 211 | ვიტესი-ჰერენვენი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 14:30 | 212 | აიაქსი-დენ ჰააგი | 1.20 | 5.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.48 |
| 16:30 | 213 | ფეიენოორდი-ბრედა | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 16:30 | 214 | გრონინგენი-როზენდალი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 16:30 | 215 | ნაიმეგენი-უტრეხტი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 235 | ტორპედო-ცსკა | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 277 | ალესუნდი-ვოლერენგა | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 20:00 | 278 | ფრედრიკსტადი-ჰამარი | 1.95 | 3.40 | 3.40 | 1.23 | 1.23 | 1.70 |
| 20:00 | 279 | ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 20:30 | 280 | სტარტი-რუსენბორგი | 2.15 | 3.40 | 2.90 | 1.31 | 1.23 | 1.56 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 281 | ტრომსიო-მოლდე | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 20:00 | 282 | ლინი-ვიკინგი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 20:00 | 283 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 284 | ბრინი-მოსი | 1.65 | 3.80 | 4.00 | 1.15 | 1.16 | 1.94 |
| 21:00 | 285 | ჰიონეფოსი-ალტა | 1.30 | 5.00 | 7.00 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 21:00 | 286 | კონგსვინგერი-მანდალი | 1.85 | 4.00 | 3.20 | 1.26 | 1.17 | 1.77 |
| 21:00 | 287 | ლოვ ჰამი-ტონსბერგი | 2.20 | 3.70 | 2.60 | 1.37 | 1.19 | 1.52 |
| 21:00 | 288 | ჰონს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.90 | 3.60 | 3.40 | 1.24 | 1.21 | 1.74 |
| 21:00 | 289 | სანდეფიორდი-სოგნდალი | 1.85 | 3.70 | 3.40 | 1.23 | 1.19 | 1.77 |
| 21:00 | 290 | სკეიდი-ჰიოდი | 2.05 | 3.70 | 2.80 | 1.31 | 1.18 | 1.59 |
| 21:00 | 291 | სტაბეკი-ფოლო | 1.20 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.41 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 312 | იოსტერსი-ვესბი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 322 | ინტერი-ლაჰტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23:15 | 330 | ჰაფნარფიორდური-გრინდავიკი | 1.25 | 4.70 | 8.20 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 23:15 | 331 | აკრანესი-ვალური | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 347 | ჩიკაგო-კანზასი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 348 | ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:45 | 349 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 375 | კურიტიბა-ატლეტიკო მნ | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 376 | კრუზეირო-ბოტაფოგო | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 377 | ფიგეირენსე-სან პაულუ | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 23:45 | 381 | ინტერნასიონალი-კორინთიანსი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 382 | პალმეირასი-პონტე პრეტა | 1.60 | 3.40 | 4.85 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 383 | პაისანდუ-ვასკუ და გამა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 385 | სან კაეტანო-ატლეტიკო პრ | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 378 | ფლამენგო-პარანა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 379 | ფლუმინენსე-ფორტალესა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1:18 | 2.12 |
| 23:45 | 380 | გოიასი-ჟუვენტუდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 384 | სანტოსი-ბრაზილენსე | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **ჩემპიონთა ლიგა** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **10 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 22:45 | 407 | ბაზელი-ვერდერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 22:00 | 408 | შახტარი-ინტერი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 23:45 | 410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 20:45 | 453 | მალმიო-თუნი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 21:00 | 454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 22:00 | 455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 22:00 | 456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:30 | 457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 22:45 | 458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:45 | 459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
|  |  | **უეფას თასი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **11 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 19:30 | 413 | ინტერი(ხორვ)-ცრვენა ზვეზდა | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 22:00 | 414 | ბასკომი-მაკაბი(ფთ) | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 415 | დინამო(ბქ)-ომონია | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 19:30 | 416 | ოფკ-ლოკომოტივი(პლ) | 1.65 | 3.40 | 4.20 | 1.11 | 1.18 | 1.87 |
| 21:45 | 417 | აპოელი-მაკაბი(თ.ა) | 2.35 | 3.00 | 2.70 | 1.31 | 1.25 | 1.42 |
| 21:30 | 418 | ლიტექსი-რიეკა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 419 | ვადუცი-ბეშიქთაში | 5.80 | 3.70 | 1.45 | 2.25 | 1.15 | 1.04 |
| 22:30 | 421 | პუბლიკუმი-ლევსკი | 2.40 | 3.00 | 2.75 | 1.33 | 1.28 | 1.43 |
| 22:00 | 422 | ზეტა-შიროკი ბრიეგი | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| 20:00 | 423 | აშდოდი-დომჟალე | 1.75 | 3.50 | 3.70 | 1.16 | 1.18 | 1.79 |
| 18:00 | 424 | კრილია-ბატე | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:30 | 425 | სოპრონი-მეტალურგი(დ) | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 21:30 | 426 | გრასჰოპერი-პლოცკი | 1.45 | 3.80 | 5.30 | 1.04 | 1.13 | 2.21 |
| 19:30 | 427 | ნისტრუ-გრაცერი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 22:15 | 428 | ჟილინა-აუსტრია | 3.40 | 3.30 | 1.90 | 1.67 | 1.21 | 1.20 |
| 22:45 | 429 | პაშინგი-ზენიტი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 19:00 | 430 | მტზ რიპო-ტეპლიცე | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.20 | 1.30 |
| 20:00 | 431 | გროცლინი-ბ.ბისტრიცა | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 432 | ბანანცი-დნიპრო | 3.80 | 3.30 | 1.75 | 1.76 | 1.19 | 1.14 |
| 22:00 | 433 | ლეგია-ციურიხი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 434 | ჰალმსტადი-ლინფილდი | 1.20 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.41 |
| 20:00 | 435 | მიდტიულანდი-ბ36 ტორშავნი | 1.08 | 6.70 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 4.53 |
| 21:00 | 436 | ბრანი-ალიანსი | 1.35 | 4.50 | 6.00 | 1.03 | 1.10 | 2.57 |
| 20:00 | 437 | მეტალურგსი-გენკი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 22:00 | 438 | რილი-ვიკინგი | 5.70 | 3.60 | 1.45 | 2.20 | 1.15 | 1.03 |
| 21:30 | 439 | მიუპა-დანდი იუნაიტედი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:15 | 440 | კოპენჰაგენი-კარმარტენი | 1.10 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.43 |
| 22:30 | 441 | მაინცი-კეფლავიკი | 1.10 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.43 |
| 21:00 | 442 | იურგორდენი-კორკი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 21:00 | 443 | ესბიერგი-ტრომსიო | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
|  |  | **რუსეთი. თასი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **11 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 18:00 | 447 | მოსკოვი-დინამო მახაჩკალა | 1.35 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.56 |
| 16:00 | 463 | დინამო მ-დინამო ბრ | 1.05 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
|  |  | **13 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 16:00 | 448 | სპარტაკი ნალჩიკი-ტერეკი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
|  |  | **ჩოგბურთი კაცები მონრეალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **10 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 19:00 | 630 | აგასი-ბიორკმანი | 1.11 | 4.50 |  |  |  |  |
| 19:00 | 631 | მირნი-რუსედსკი | 1.70 | 1.90 |  |  |  |  |
| 19:00 | 632 | ნალბანდიანი-ბეცკი | 1.35 | 2.75 |  |  |  |  |
|  |  | **ჩოგბურთი ქალები ლოს ანჟელესი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **10 აგვისტო** |  |  |  |  |  |  |
| 22:00 | 639 | დემენტიევა-სტოსური | 1.25 | 3.00 |  |  |  |  |

## I ტაიმის შედეგი

|  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10407 | ბაზელი-ვერდერი | 3.20 | 2.00 | 2.60 | 1.23 | 1.43 | 1.13 |
| 10408 | შახტარი-ინტერი | 3.60 | 2.00 | 2.50 | 1.28 | 1.47 | 1.11 |
| 10410 | სპორტინგი-უდინეზე | 2.20 | 2.00 | 4.30 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10453 | მალმიო-თუნი | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |
| 10454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 2.80 | 1.90 | 2.90 | 1.13 | 1.42 | 1.14 |
| 10456 | სტიაუა-რუსენბორგი | 2.10 | 2.00 | 4.20 | 1.02 | 1.39 | 1.35 |
| 10457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.85 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.50 |
| 10458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 5.40 | 2.20 | 1.90 | 1.56 | 1.40 | 1.01 |
| 10459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

|  |  | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13407 | ბაზელი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13408 | შახტარი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13453 | მალმიო-თუნი | 1.60 | 2.00 |
| 13454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.60 | 2.00 |
| 13455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 1.70 | 1.90 |
| 13456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.70 | 1.90 |
| 13458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

|  |  | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11407 | ბაზელი-ვერდერი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11408 | შახტარი-ინტერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11410 | სპორტინგი-უდინეზე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.90 |
| 11453 | მალმიო-თუნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11456 | სტიაუა-რუსენბორგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11457 | ანდერლეხტი-სლავია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### გოლი: წყვილი-1 კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| 17407 | ბაზელი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17408 | შახტარი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17453 | მალმიო-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 1.85 | 1.95 |
| 17456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

|  |  | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15407 | ბაზელი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | შახტარი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | სპორტინგი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | მალმიო-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15456 | სტიაუა-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15457 | ანდერლეხტი-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| 12407 | ბაზელი-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12408 | შახტარი-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12453 | მალმიო-თუნი | 1.70 | 1.90 |
| 12454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 12455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 1.70 | 1.90 |
| 12456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.90 | 1.70 |
| 12458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| 14407 | ბაზელი-ვერდერი | 2.00 | 1.75 |
| 14408 | შახტარი-ინტერი | 2.10 | 1.70 |
| 14410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.60 | 2.10 |
| 14453 | მალმიო-თუნი | 1.60 | 2.10 |
| 14454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.90 | 1.65 |
| 14455 | პეტრუალკა-პარტიზანი | 1.90 | 1.90 |
| 14456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.45 | 2.40 |
| 14457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.35 | 2.50 |
| 14458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 2.40 | 1.40 |
| 14459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.80 | 1.90 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კილასონიას ფოტო

# იჭიდავეთ თავისუფლად

## ჩემპიონ-პრიზიორები ფინანსურად წაახალისეს

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში რამდენიმე დღის წინ ევროპის ჩემპიონატზე 4 მედლის მომპოვებელი ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეები წარსდგნენ. ხელმძღვანელი ტრენერობა და მოჭიდავეების ეროვნული ფედერაციის შესახებ ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და ნაკრების თავკაცმა ნუგზარ სხირელმა დააჯილდოვეს.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძისა და, რაც თქმა უნდა, [illegible] დარჩნენ.

[illegible] მიზნებს და ჭიდაობის ყველა გულშემატკივარს. თავისუფალი სტილის რვა მოჭიდავიდან ოთხმა ფინალს უწია, რაც მართლაც კარგი შედეგია. ამ თაობას უკვე 2008 წლის ოლიმპიადაზე შეუძლია თავისი ძალის დამტკიცება."

გეწაძემ ითხეულს კომპანია „ენისელის" პრეზიდენტ ელგუჯა ბუბუტეიშვილის მიერ დაწესებული პრემიებიც იქვე გადასცა. ევროპის ჩემპიონებმა მალხაზ ქურდიანმა და გიორგი ნიკურაძემ 500-500 ლარი მიიღეს, ხოლო ვერცხლოსნებმა ნიკოლოზ გაგნიძემ და მალხაზ ზარქუამ 400-400.

200 ლარი გადაეცემა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი გვენეტაძეს. ბერძენ-რომაელები პოლონეთიდან ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ, თუმც პრეზიდენტმა დარბაზის თხოვნის შემდეგ მათი წარუმატებელი გამოსვლაც შეაფასა. მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მოპოვება გეწაძემ იმით ახსნა, რომ ვლადიმერ ადეიშვილის გუნდს მოსამზადებელი ეტაპისას პრობლემები შეექმნა.

„თვეების წინანდელ საჭიდაო სკანდალში ბერძენ-რომაელები აქტიურად იყვნენ ჩართულნი და სავარჯიშო დრო აღარ რჩებოდათ. ახლახან უახლოესი მეგობარი დაეღუპათ, რომელსაც ერთი თვის განმავლობაში საავადმყოფოში თავს დასტრიალებდნენ. არასათანადო მომზადებამ და ფსიქოლოგიურმა სტრესმა საბოლოოდ ეს შედეგი მოიტანა, თორემ ნიჭი და პოტენციალი რომ არც ამ სპორტსმენებს აკლიათ, ეჭვიც არავის ეპარება" — თქვა გეწაძემ.

თავისუფალთა თავკაცმა ნუგზარ სხირელმა პოლონური ტურნირის სამართლიანი მსაჯობა ახსენა — მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ დაგვჩაგრეს და ხმამაღლა გავაპროტესტეთ, ევროპაზე მსაჯთა კეთილგანწყობა ალბათ იმით მოვიპოვეთო. მანვე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაშვების საკითხი წამოწია, რასაც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ უპასუხა.

დავით ნამგალაური: „მწვრთნელთათვის სპეციალური სემინარების ორგანიზება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება ქართული ჭიდაობის უკეთესი მომავლის აუცილებელი გარანტია. ნიჭი და პოტენციალი აშკარად თვალში საცემია. მომავალ თაობასთან სწორი მუშაობით კი გაცილებით დიდი შედეგების მიღწევა შეიძლება. მომავალი წლიდან ჭაბუკებისა და ახალგაზრდების აღზრდაში უფრო საფუძვლიანად ჩავერევით."

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ზაზა ატლანტელია



მერაბ ფოლადაშვილის ფოტო

**ზაზა ფაჩულია** ოფიციალურად გახდა ატლანტელი და ეს არც ვინმეს გაჰკვირვებია. ქართველმა ცენტრმა გასულ კვირაში „ატლანტა ჰოქსთან" ოთხწლიან და 16-მილიონიან წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი და თუ მისი ძველი გუნდი „მილუოკი ბაქსი" ფაჩულიას ერთი კვირის განმავლობაში უკეთეს პირობებს არ შესთავაზებდა, ახალი გუნდის ხელშეკრულება ავტომატურად შევიდოდა ძალაში.

იმთავითვე ნათელი იყო, რომ „მილუოკის" დრაფტზე პირველ ნომრად ენდრიუ ბოგუტის აყვანისა და დან გაძურიჩზე პლომად მილიონების დახარჯვის შემდეგ ფაჩულიასთვის მისაცემად ბევრიც აღარაფერი დარჩა. თანაც ზაზამაც არ ისურვა არცთუ ძლიერ გუნდში მესამე ცენტრად ყოფნა და კიდევ უფრო სუსტ გუნდში გადავიდა, სადაც იქნებ სასტარტო ხუთეულშიც მოიპოვოს ადგილი. „ატლანტას" მისი პოზიციისა ხეირიანი არავინ ჰყავს — ჯეისონ კოლიე ვარსკვლავი ნაღდად არ გახლავთ, ხოლო გადაბერებული კევინ ვილისი სათვალავში მისაღები არცაა.

მოკლედ, ზაზა ფაჩულია ატლანტელია და ამ წყალწაყებულ გუნდს ჭაობიდან ამოსვლაში დაეხმარება სხვა პერსპექტიულ ჭაბუკებთან ერთად, რომლებიც „ჰოქსს" არაერთი ჰყავს. „ატლანტა" ექვსი წელია უპლეიოფოდ ამთავრებს სეზონს და წინა რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ 13 მოგებით და 59 წაგებით უკანასკნელი გახლდათ აღმოსავლეთ კონფერენციაში.

**კოტე ყორშია**





AFP მელბურნიდან

ლიზბეტ ლენტონმა ორ დღეში ორი რეკორდი გამოაცხო

# ქალი-რეკორდი

**მონრეალის** მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედლის მომპოვებელმა ყოჩაღმა ავსტრალიელმა მოცურავემ ლიზბეტ ლენტონმა საკუთარ თავს უარი უთხრა დამსახურებულ შვებულებაზე და მოკლე ხანში მელბურნის აუზში გადაეშვა, სადაც მოკლე წყალში (25-მეტრიანი აუზი) ავსტრალიის ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ამ პატარა გოგონას, რომელიც სიმაღლეში მხოლოდ 167 სანტიმეტრია და 60 კილოგრამს იწონის, სულაც არ ეტყობა დაღლილობა. ისე მიაპობს წყალს, რეკორდს რეკორდზე ხსნის. 100 მეტრ თავისუფალი სტილით გაცურვის ნახევარფინალში მან 51.91 წამი აჩვენა და დაამხო ხუთი წლის წინათ შვედ ტერეზა ალსამარის მიერ დამყარებული რეკორდი — 52, 17 წამი. პატარა ლიზიმ ესეც არ იკმარა, ფინალშიც ისასწაულა და ერთი დღის წინანდელ შედეგს კიდევ 0.21 წამი მოაკლო.

**ROGERS MASTERS**
**მონრეალი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 2,2 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი (4, აშშ) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — ფრედერიკ ნიმეიერი (კანადა) 6:2 6:1; გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 1:6 7:6 (7:5) 7:5; მარიანო პუერტა (8, არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4 6:1; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ტიმ ჰენმანი (10, ბრიტანეთი) 3:6 7:5 6:1; ტომი რობრედო (11, ესპანეთი) — კევინ კიმი (აშშ) 7:5 3:6 6:1; რიშარ გასკე (15, საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3 7:6 (7:3); მაქს მირნი (ბელარუსი) — ფერნანდო გონსალესი (16, ჩილე) 7:6 (7:5) 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ვინსენტ სპედია (აშშ) 6:3 6:2; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:3 7:6 (10:8); გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:7 (5:7) 6:2 6:3; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:1 7:5**

# შროჯერო როჯერსობაა



ანდრე აგასი 35 წლისაც ჯადოქრობს

**ამერიკული** სამკვირეულის შემდეგ, რაიც ინდიანაპოლისში დაიწყო, ლოს ანჯელესში გაგრძელდა და ვაშინგტონში მოთავდა, აშშ-ის წლევანდელი ღია პირველობისთვის მწრთობიარე ამქარმა მონრეალურ მასტერსზე გადაინაცვლა.

პირველ დღეს მილეთი ყველაზე მეტად ტურნირის სამგზის ჩემპიონ ანდრე აგასის გარჯას ელოდა. 35 წლის არმენოამერიკელმა წინისწინა კვირაში ლოსანჯელესურ ტურნირზე კარიერის მე-60 ტიტული მოიმკა და რიგიან ფორმაში რომ არის, ეს ამ ჯერზეც ცხადყო თავისზე ცხრა წლით უმცროს ესპანელ ალბერტო მარტინის იოლი ძლევით. მის ბასრ ნაუკანახზევ დარტყმებს მარტინმა მხოლოდ უამრავი უნებლიე შეცდომით უპასუხა.

„ნასიამოვნები დავრჩი იმით, რომ მატჩის მსვლელობისას თამაშს სულ უფრო ვაუმჯობესებდი — ამბობდა მერე აგასი — თავიდან ცოტა ვინერვიულე, მაგრამ მერე და მერე ყველაფერი წალმა წავიდა და შეხვედრის ბოლოსკენ უკვე თავს საკაიფოდ ვგრძნობდი.“

დღეს აგასი 33 წლის შვედ იონას ბიორკმანს შეხვდება, ვინაც პირველ წრეში გამოცდილი ამერიკელი ვინს სპედია დაჩოგნა. შტეფი გრაფის რვაგზის სლემტიტულოსანი მეუღლე თვლის, რომ მისებრ ვეტერან ბიორკმანთან შეხლა იოლი არ უნდა იყოს, თუმცა მყისვე ანგლურად დასძენს, რომ ოცდაათსგადაცილებულთა შორის ის ჯერ-ჯერობით შეუცილებელია.

სხვაფრივ — ერთადერთი განთესილი, რომელიც იმ დღეს ბრძოლას გამოაკლდა, ბრიტანელი ტიმ ჰენმანი გახლდათ. ოჯახთან ერთად უიმბლდონობის მერე ტოსკანაში კაცურად ნაარდადაგევმა ბრიტმა 24 წლის სლოვაკ ჰრბატის წინააღმდეგ თამაში აგრესიულად დაიწყო, მძლავრი მოწოდების მერე მყისვე ბადესთან მიჰქროდა და მეტოქის უნდილ პასუხებს იქვე ახშობდა. მაგრამ მერე და მერე მას რამსები აერია და ბოლოსკენ ისე აიჭრა, ერთ მომენტში ბურთი ტრიბუნისკენაც კი დაახაია.

თუმცა ნამატჩევს ის მაინც იხტიბარგაუტეხლობდა, აქაოდა, ისე კარგად ვარ დასვენებული, ცინცინატისა და აშშ-ის ღია პირველობაზე მაინც გავილაღებო.

ისე, შესახსენებელია, რომ 6 სექტემბერს გასაოცდათერთმეტწლისებელი ჰენმანი წლეულს საერთოდაც ისე-რა ჩოგნაობს და, თუმც აქა-იქ მეოთხედფინალებსაც უწია, რაგინდარა ტურნირის უკანასკნელ ოთხეულამდეც ერთხელაც ვერ განაბრძოლება.

აი, კუნძულელთა მეორე ოცდაათსგადაცილებულ ყოჩ გრეგ რუზედსკის კი წლეულს ნიუპორტში ნაშოვნი ტიტულიც დაეკვეხება და ორიოდ კვირის წინ ინდიანაპოლისურ ნახევარფინალშიც ვიხილეთ. იმ დღეს კი მან რთულ ბრძოლაში აჯობა მზარდ შვეიცარიელ სტანისლას ვავრინკას, რომელთანაც წაგებული პირველი სეტის მერე ორის დამაჯერებლად უკუგება შეძლო.

მეორე წრეში გაივაკა არგენტინულმა ტრიომ — ახლახანს მსუყედ ნაევროთიხნარებმა გასტონ გაუდიომ, მარიანო პუერტამ და უიმბლდონობის მერე ოდენ ავსტრალიაში ნა-დევის-ალაფარმა დავიდ ნალბანდიანმა. ამ უკანასკნელმა თვისტომ ხუან იგნასიო ჩელას მოუგო.

აღსანიშნავია ასევე 19 წლის ფრანგ რიშარ გასკეს წარმატებული სტარტიც. მას მოსკოვში რუსებთან დათმობილი დევისმეოთხედფინალის მერე აღარსად ეთამაშა მაჯის ტრავმის გამო და ახლა ისე ჩანს, მაჯაც რიგზე აქვს და საერთოდაც ხოშიანად დაუსვენია. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე მებრძოლი რუსი მიხაილ იუჟნი მან იმ დღეს სეტისწაუგებლად დაიმორჩილა.

„დღეს დიდებული მატჩი მქონდა — ამბობდა ის მერე, — მართალია, აქ კორტები ძალიან სწრაფია, მაგრამ აზრზე არა ვარ, ამან კარგი შედეგის მიღწევაში ხელი რატომ უნდა შემიშალოს. თიხნარზე და ბალახზე რიგიანად გამოვდივარ ხოლმე და ვფიქრობ, იმავის გაკეთება ჰარდზეც უნდა შემეძლოს.“

გუშგვიანდამ საქმეში უკვე ამქრის ზეხუთეულელნიც — რაფაელ ნადალი, ენდი როდიკი და ლეიტონ ჰიუიტიც უნდა ჩართულიყვნენ. ერთადერთი, ვისაც ზეპური მარაქიდან მოვისაკლისებთ, შარშანდელი ჩემპიონი, ამქრის ზეგარდმო პირველოსანი როჯერ ფედერერია. ვინძლო, გახსოვდეთ, წლეულს მესამედ გაუიმბლდონოსჩემპიონებულმა შვეიცარიელმა ფეხის ტრავმის გამო სწორედ უიმბლდონობის მერე უქმობა გადაწყვიტა და კორტს მხოლოდ მომავალ კვირაში, ცინცინატურ მასტერსზეღა დაუბრუნდება.

სხვათა შორის, გუშინ ის ჩვენს ოკეანისგაღმელ კოლეგებს გაესაუბრა და უთხრა, რომ სეზონის დარჩენილი ტურნირებიდან უმთავრეს პრიორიტეტად „ალბათ მაინც“ წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა შანხაიურ მასტერსთასს მიიჩნევს.

„აზიაში ხშირად არ მიწევს თამაში და იმიტომ — თქვა მან — თუმცა ჩემი რეიტინგისთვის სხვა ტურნირებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.“

გარდა ამისა, ის თურმე მოუთმენლად მოელის ბრიტანეთის დევისნაკრებთან სასექტემბერო დაპირისპირებას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ნაკრები შეინარჩუნებს ადგილს მსოფლიოს ზეპურ, 16-ნაკრება ჯგუფში.

„დევისთასის მოგება ჩემი კარიერის ერთ უდიდეს მიზნად რჩება — დასძინა როჯერმა — ყოველი წლის დასაწყისში მე ჩემს უმთავრეს პრიორიტეტებს განვსაზღვრავ ხოლმე. წლეულს ასეთად პირველოსნობის შენარჩუნება დავისახე. ერთ მშვენიერ დღეს კი უმთავრესი როლანგაროსობისა და დევისობის მოგება გახდება.“

**ლევან კელაურაძე**

# ჩოგბურთის მეოთხე არგენტინული სკანდალი

## შარდმდენში მხილებული



გილერმო კანიასს კორტზე შესვლა ორი წლით აეკრძალა

**იმ** დროს, როცა ამქრის უჩაუქესი მობურთალები მონრეალში შეკრებილან და აშშ-ის წლევანდელი ღია პირველობისთვის ილესებიან, რეიტინგსიის არგენტინელ მეათეადგილოსან გილერმო კანიასს პრესკონფერენციების მოწყობა და ჟურნალისტთა წინაშე თავის მართლება უწევს.

საქმე ის გახლავთ, რომ 27 წლის სახელიან გაუჩოს წლევანდელ აკაპულკობაზე, 21 თებერვალს ჩატარებული დოპინგტესტის შედეგად ორგანიზმში აკრძალული შარდმდენის ჰიდროქლოროთიაზიდის ნაკვალევი აღმოუჩინეს.

ამის შესახებ მეჩოგნისთვის მაისში შეუტყობინებიათ. კანიასს პრეპარატის მიღება უარუყვია. მისი თქმით, აკაპულკობის მსვლელობისას ის გრიპს მკურნალობდა და, თუკი მის ორგანიზმში რაიმე აკრძალული ნივთიერება მოხვდა, ეგ მხოლოდ მაშინ მიღებული სხვა, ნებადართული წამლების გზით. 20-21 ივლისს საქმე ეიტიპის მიერ მოწვეულ დამოუკიდებელ სპეციალისტთა ტრიბუნალმა განიხილა და კანიასის არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

საბოლოო ვერდიქტის შესახებ კი გუშინ შევიტყვეთ — კანიასს ეკრძალება რაგინდარა შეჯიბრში გამოსვლა 2007 წლის ივნისამდე და ჩამოერთმევა საპრიზოდ ნაშოვნი 276 ათასი დოლარი 525 სარეიტინგო ქულითურთ.

ცხადია, აკრძალული წამლის მიღებას მეჩოგნე კვლავაც უარობს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ მოკვერებულია ეიტიპის გადაწყვეტილებით: „მე პროფესიონალი მოთამაშე ვარ. ჩემთვის ახლა ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა მოხდა ზუსტად. მაგრამ ის კი ჭეშმარიტად შემიძლია გითხრათ, რომ უდანაშაულო ვარ.“

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კარიერისას ექვსი ტიტულის მომრეწი კანიასი უკვე მეოთხე არგენტინელი კაცმეჩოგნეა, ვისაც აკრძალული ნივთიერების მოხმარება ბრალდება. აქამდე ამა თუ იმ დოპინგპრეპარატის მიღებაში ხუან იგნასიო ჩელა, გილერმო კორია და მარიანო პუერტა იმხილნენ. ამის გამო პირველმა 2001-ში სამთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, მეორე 2002-ში შვიდთვიანი იძულებითი უქმობით დასაჯეს, ხოლო მესამე შარშანწინ ცხრა თვის განმავლობაში იყო მოკვეთილი.

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო

HELSINKI August 6-14 2005 World Championships

# გაწუწული ოქროები



## მეექვსე და სამართალი

YES, ყვიროდა კაისა ბერგკვისტი, YES! შვედმა სიმაღლეზე მხტომელმა აქაოდა 2,02 დავძლიეო, ცაში აიხედა. არ დაგავიწყდეთ, იმ დღეს ჰელსინკის ციდან გადაუღებლად წვიმდა და კაცმა რომ თქვას, ქარიც კარგად უბერავდა თავისას.

ბერგკვისტისთვის... თუმცა რატომ მარტო ბერგკვისტისთვის, ყველა შვედისთვის, ეს დღე საგანგებო იყო. წინა დღეს კაროლინა კლუფტი ჰეპტატლონის ჩემპიონი გახდა, მეორე დღეს კი კაისა ბერგკვისტი გახდა მსოფლიოს ნომერი ერთი სიმაღლეზე მხტომელი.

დიდხანს ელოდა შვედი ქალი ამ დღეს. ის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად როდი იყო, თავიდან 1995 წელს მშობლიურ გიოტებორგში გამოჩნდა. მაშინ ჩვიდმეტისა გახლდათ. 1997 წელს მეხუთეზე გავიდა, 2001 და 2003 წლებში კი ბრინჯაო მოიგო.

„დღეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეა. შვედმა და ფინელმა გულშემატკივრებმა მხარი საოცრად დამიჭირეს“ — განაცხადა ჩემპიონმა, რომელმაც ოქროს მედალს გვარიანი გაწამაწიის შედეგად მიაღწია. საქმე ის არის, რომ წლეულს, ჰელსინკამდე, ორმეტრიანი ბარიერი ქალებმა მხოლოდ სამ შემთხვევაში გადალახეს, აქ კი ერთბაშად ორნი, ბერგკვისტი და ამერიკელი ჩუნტე ჰოვარდი გადაევლენ თამასას.

აღსანიშნავია, რომ ჰოვარდის დამარცხების შემდეგ შვედმა მძლეოსანმა სტეფკა კოსტადინოვას 1987 წლის მსოფლიო რეკორდს შეუტია, მაგრამ ვაგლახ, ბედმა უთხრა, დღეს ოქროს მედალი იმყოფინეო.

თუმცა მანამდე... მას მერე, რაც ამერიკელმა ემი ეკაფმა 1,93 მეტრი ვერ გადალახა, გულშემატკივრებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ბერგკვისტს კონკურენციას თანამემამულე ემა გრინი გაუწევდა, მაგრამ გრინმა 1,96-ით თავისი საუკეთესო შედეგი გააუმჯობესა და ეგ არის როდესაც საქმე 1,98 მეტრს მიადგა, როგორც გრინმა ასევე რუსმა ანა ჩიჩეროვამ თამასას ზურგები უხახუნეს და შეჯიბრებასაც გამოეთიშნენ. აი, სწორედ აქ გამოიდო თავი ზემოხსენებულმა ჩუნტე ჰოვარდმა, რომელიც ცხოვრებაში პირველად გადაევლო ორ მეტრს.

2,02 მეტრი ბერგკვისტმა თავდაჯერებით, პირველივე ცდიდან დაძლია, ჰოვარდმა კი მხოლოდ სამი ცდით შეძლო პასუხის გაცემა. ეს იყო და ეს.

## მოუმზადებელი მორწმუნე



მარცხენა ხელზე შავ-თეთრი სამაჯური იმას ნიშნავს, რომ ის რასიზმის წინააღმდეგია. სამაგიეროდ, არაფერს არ ნიშნავს შავი სპორტული ფეხსაცმელი, ეს უბრალოდ სპეცშეკვეთაა და მაღაზიებში არ იყიდება. ხოლო, რაც შეეხება დაღუპულ ეთიოპიელ სპორტსმენს, რომელსაც ეს სამაჯური უკეთია და ეს ფეხსაცმელი აცვია, იგი კენენისა ბეკელე გახლავთ, რომელიმაც ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა — კვლავ ოქროს მედალი მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთის დედაქალაქმა ეთიოპიელს საჩემპიონო რბენისას დაუზარლად აწვიმა, თუმცა ეს ასეც შეგვიძლია გავიგოთ: ამინდმა თავისი დაჟინებით მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ბეკელე ძალიან ძლიერი მძლეოსანია და მისთვის ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს. მან მეორე ადგილზე გასულ თანამემამულე სილეში სიჰინეს 0,54 წამით აჯობა, ხოლო შემდეგ, სტადიონის ეგრეთწოდებულ მიქს-ზონაში, სადაც სპორტსმენები და ჟურნალისტები ირევიან, დაუზარლად ისაუბრა ყველასთან, ვისაც კი მისი სიტყვის მოსმენა მოუნდა.

ერთი სიტყვით, საპრესკონფერენციო დარბაზში, სადაც უკვე ოფიციალური კითხვა-პასუხი იმართება, ბეკელე ყველა მედალოსანზე ბოლოს შევიდა და ინგლისურენოვან თარჯიმანზე უარი განაცხადა.

„ეს წელიწადი ჩემთვის უმძიმესი იყო — განაცხადა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, რომელსაც რვა თვის წინ საცოლე დაეღუპა — ჩემპიონატისთვის ჯეროვნად მზად არც ვიყავი. ხელიდან უმნიშვნელოვანესი ადამიანი გამომეცალა, რომელზეც დიდად ვიყავი დამოკიდებული და რომელიც ძალიან მიყვარდა. ტრაგედიამ ვარჯიში და სირბილი საერთოდ შემაწყვეტინა. დავდიოდი და საკუთარ თავს ერთ კითხვას ვუსვამდი: როგორ მოხდა ეს? მაგრამ, ღმერთს მადლობა, მაინც დამაბრუნა სპორტში.“

მოკლედ, ბეკელეს სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ ჩემპიონატისთვის კარგად არ იყო მზად, მაგრამ შედეგებმა სხვა სურათი აჩვენა.

როდესაც ჰკითხეს 5 000 მეტრზე თქვენს არყოფნაში ვინ გაიმარჯვებსო, ბეკელემ მორცხვად გაიღიმა და მიუგო:

„ალბათ, ვინმე ეთიოპიელი. შეიძლება სულაც ჩემმა ძმამ, ტარიკუმ მოიგოს. შეჯიბრების ყველა მონაწილეს შეუძლია ოქროს მედლის მოპოვება. შესაძლოა კენიელებმაც იყოჩაღონ.. ან მაროკოელებმა.“

და ბოლოს, ბეკელემ უკვე ოთახიდან გასვლის შემდეგ თქვა:

„უპირველეს ყოვლისა ეთიოპიაში ჩავალ და ჩემს ხალხთან ერთად აღვნიშნავ ჩემპიონობას, შეიძლება კი სავარაუდოდ ციურიხს გავემგზავრები, თუმცა ვირბენ თუ არა, ამწუთას ნამდვილად ვერ გეტყვით. დარწმუნებული ვარ ეს დიდი წარმატება ქრისტეს რწმენამ მოიპოვებინა.“

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6-14 აგვისტო**

# დაიწყო და დაამთავრა



**ლურინ უილიამსი** ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია 100 მეტრზე რბენაში. სხვათაშორის, მსოფლიოს ჩემპიონატამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე ოსლოში, „გოლდენ ლიგის" შეჯიბრებაში ასევე ვერცხლი მოიპოვა, მაგრამ აბა სულ მეორე ადგილზე ხომ არ გავიდოდა და ჰელსინკიში ოქრო მოიგო. სულ კი, ამ წელიწადს მან ცხრა გარბენში მიიღო მონაწილეობა და... მხოლოდ მეცხრეში გაიმარჯვა — სცოდნია, არა მოსაგები შეჯიბრების შერჩევა? ტრიუმფის შემდეგ უილიამსი ყურიდან ყურამდე გაღიმებული შევიდა საპრესკონფერენციო ოთახში ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ.

„აშკარად სხვანაირი გრძნობა მაქვს მოძალებული, ასეთი ადრე არაფერი განმიცდია — უთხრა ჩემპიონმა მას მედიის წარმომადგენლებს — თუ ძალისა და ღონის რაიმე მარაგი მქონდა, ყველაფერი ამ გარბენს შევალიე. ბოლო ხანს მოგეხსენებათ ვერაფერს ვიგებდი, მაგრამ თავს ჩამოწერილადაც არასდროს მივიჩნევდი. ვფიქრობ მძლეოსნობის მწვერვალზე დაბრუნების ღიდებული ნიმუში გამომივიდა."

არადა, ხალხს იგი აშკარად ჩამოწერილად მიაჩნდა. მაგალითად, აშშ-ის ჩემპიონატზე, რომელიც ივნისში იმართება, უილიამსმა იმდენად უსახური შედეგი აჩვენა, რომ ლაპარაკი არც კი ღირს — 11,29. ის კი არა და საერთოდ საკვირველია, როგორ მოხვდა ნაკრებში, თავისუფლად შეიძლებოდა სხვა წაეყვანათ.

„ერთი წამით არ დამიშვია, რომ ჩემი მიზანი ჩემპიონობა არ იყო. ამოჩემებული მქონდა, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა მეჩვენებინა, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი კი მსოფლიოს ჩემპიონობაა."

სხვათაშორის, როდესაც ფინიშის ხაზი გადაკვეთა ის სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ მართლა მოიგო ჩემპიონობა.

„სანამ რამეს მივხვდებოდი, რამდენიმე, წამიანი ფიქრი დამჭირდა, — სიცილით თქვა უილიამსმა, — სანამ დარწმუნებით არ მეცოდინებოდა, რომ გავიმარჯვე, მანამდე ზეიმი გამორიცხული მქონდა და საერთოდაც არა ვარ ის ადამიანი ფინიშის ხაზი აღმართული ხელებით რომ გადავკვეთო."

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეს შედეგი მისთვის პირადი შედეგის გაუმჯობესება გახლდათ, თუმცა ამაში გასაკვირი აბა, რა უნდა იყოს.

„მთელი გარბენი კარგი გამომივიდა. ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ ჩვეულებრივ ან კარგად ვიწყებ ან კარგად ვამთავრებ, ამჯერად კი კარგად დავიწყე და კარგადაც დავამთავრე. ნეტავ საერთოდ შემეძლოს ასეთი რამ, მაშინ ხომ გაცილებით ძლიერი მძლეოსანი ვიქნებოდი, ვიდრე ახლა ვარ. გულწრფელად რომ გითხრათ, ეს ოქრო ათენის ოლიმპიურ ვერცხლს აშკარად მირჩევნია და საერთოდაც ვფიქრობ, რომ ფაქტობრივად იმავე ხალხმა უკეთესი გარბენი ახლა შევასრულეთ, ვიდრე ერთი წლის წინ."



HELSINKI
IAAF World Championships
August 6-14 2005



ივან ტიხონი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი

# დიდება ალექსანდრ ლუკაშენკოს

**ამ წუთას** უროს მტყორცნელთა სამყარო ორი ნახევრისგან შედგება, ბელარუსები და ყველა დანარჩენი. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო, ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დღეს უროს მტყორცნელთა სექტორში ყველაფერი კარგად გამოჩნდა — დანარჩენი მსოფლიოს ნატყორცნი იარაღი ტყორცნის ადგილიდან 76—79 მეტრის მანძილზე ვარდებოდა, მათზე მთელი სამი ოთხი მეტრით წინ კი ივან ტიხონი და ვადიმ დევიატოვსკი იყვნენ.

„დღეს სხვათაგან რაიმე კონკურენციას ელოდით?" — ჰკითხეს წყვილს ბელარუსული ტრიუმფის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა. პასუხი მომავალმა იურისტმა დევიატოვსკიმ გასცა:

„არა, ჩვენ მინსკში უროს მტყორცნელთა ძალიან ძლიერი სკოლა გვაქვს და იქაური აღზრდის გამო საკუთარ ძალებში ერთი წამით არ შეგვპარვია ეჭვი."

აღსანიშნავია, რომ ტიხონმა ჰელსინკიში ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და საამისოდ ჩემპიონატების რეკორდის დამყარება დასჭირდა — 83,89 მეტრი სწორედ ის შედეგია, რომლის ბადალიც მძლეოსანთა წინა ცხრა მსოფლიო თავშეყრაზე არაფერი მომხდარა.

ისე კი საინტერესოა, რომ შეჯიბრების მესამე ეტაპზე წვიმის თუ სხვა მიზეზით ტიხონმა კინაღამ დაკარგა რვა უძლიერესში შესვლის შანსი.

„ფინალურ ეტაპზე რომ ვერ მოვხვედრილიყავი უდიდესი სირცხვილი იქნებოდა — ამბობს ორგზის ჩემპიონი — ამას უბრალოდ ვერ დავუშვებდი და ამიტომაც ვტყორცნე შემდეგ ჯერზე ურო განსაკუთრებული მონდომებითა და ყურადღებით."

ბოლოს კი ჟურნალისტებმა ტრიუმფატორებს ის ჰკითხეს, თუ რატომ არის მათ ქვეყანაში უროს ტყორცნა ასე პოპულარული. სამძლეოსნო სამყაროში, სადაც ციფრები და ფაქტები დიდად ფასობს, ბელარუსი უცნობ სამყაროდ ითვლება, რომლის შესახებაც იქაური სპორტსმენების მრავალი მედლის მიუხედავად ბევრი არაფერია აღრიცხული და ჩანიშნული.

„ჩვენი პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო სპორტის დიდი ქომაგია. მას განსაკუთრებით მძლეოსნობა, ყველაზე მეტად კი ტყორცნები უყვარს" — იყო პასუხი.



**8 აგვისტო**

| | |
|---|---|
| **10 000 მ კაცები** | |
| 1 კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 27.08,33 |
| 2 სილეში სიჰინე (ეთიოპია) | 27.08,87 |
| 3 მოზეს მოსოპი (კენია) | 27.08,96 |
| **უროს ტყორცნა კაცები** | |
| 1 ივან ტიხონი (ბულგარეთი) | 83,89 |
| 2 ვადიმ დევიატოვსკი (ბულგარეთი) | 82,60 |
| 3 შიმონ ჟიოლკოვსკი (პოლონეთი) | 79,35 |
| **სიმაღლეზე ხტომა ქალები** | |
| 1 კაისა ბერკვისტი (შვედეთი) | 2,02 |
| 2 ჩუნტე ჰოვარდი (აშშ) | 2,00 |
| 3 ემა გრინი (შვედეთი) | 1,96 |
| **3 000 მ წინაღობებით ქალები** | |
| 1 დოკუს ინზიკურუ (უგანდა) | 9:18.24 |
| 2 ეკატერინა ვოლკოვა (რუსეთი) | 9:20.49 |
| 3 ხერუტო კიპტუმი (კენია) | 9:26.95 |
| **100 მ ქალები** | |
| 1 ლურინ უილიამსი (აშშ) | 10,93 |
| 2 ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) | 10,.95 |
| 3 კრისტინ არონი (საფრანგეთი) | 10,98 |

**9 აგვისტო**

| | |
|---|---|
| **3 000 მ წინაღობებით კაცები** | |
| 1 საედ საიფ შაჰენი (კატარი) | 8:13.31. |
| 2 ეზეკიელ კემბოი (კენია) | 8:14.95 |
| 3 ბრიმინ კიპრუტო (კენია) | 8:15.30 |
| **800 მ ქალები** | |
| 1 სულია კალატაიუდი (კუბა) | 1:58.82 |
| 2 ჰასნა ბენჰასი (მაროკო) | 1:59.42 |
| 3 ტატიანა ანდრიანოვა (რუსეთი) | 1:59.60 |
| **400 მ თარჯრბენი კაცები** | |
| 1 ბერშონ ჯეკსონი (აშშ) | 47,30 |
| 2 ჯეიმს კარტერი (აშშ) | 47,43 |
| 3 დაი ტამესუე (იაპონია) | 48,10 |
| **ბადროს ტყორცნა** | |
| *უამინდობის გამო გადაიდო 11 აგვისტოსთვის* | |

# იბრაჰიმ



AFP დოჰადან

დოჰაში ახალგაზრდა ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი გახურდა. ფოტოზე დანიელთა კარისკენ შევიწროებული იბრაჰიმ მაბრუკის თავდადებული შეტევაა აღბეჭდილი.

# ტაიგერი ავტოგრაფებს არიგებს

ამერიკელი მოგოლფე ტაიგერ ვუდსი ვარჯიშის შემდეგ ავტოგრაფებს არიგებს. ეს ამბავი ნიუ ჯერსიშია.



AFP ნიუ ჯერსიდან



AFP კორფუდან

# მეცადინეობა

საბერძნეთი და კრიკეტი მთლად „ტყუპებივით“ ამბავი ვერ არის, მაგრამ მე-19 საუკუნეში ბრიტანელებმა კუნძულ კორფუზე ამ სახეობის თესლი მაინც ჩააგდეს და აგერ, ახლა პაკისტანელების დახმარებით ელინები ტაფულის უკეთ წვალებას სწავლობენ.

# ზღვის საიდუმლო

ქვეყნად იმდენი რეგატაა, კაცს სათვალავი აერევა, მაგრამ თუ ზღვის სიდიადე და საიდუმლო გაჯადოებს, მაინცდამაინც ნბა-ს სტრუქტურასაც აღარ მოითხოვ ამ ყველაფრისგან. ერთი სიტყვით, თქვენ წინაშეა 36-ე Soliltarie du Figaro და მისი ფრანგი მონაწილე ჟილდას მორვანი. შეჯიბრებაში 46 იახტაა. ისინი ბილბაოდან ლა როშელის გავლით ირლანდიური კორკისკენ მიცურავენ.



AFP ლა როშელიდან

# სალუტ თაყვანისმცემლებო

ფრანგი იახტსმენი ოლივიე კერსუზონი და მისი იახტა „ჯერონიმო“ ბევრჯერ გვიხსენებია, ხომ მართალია? მოდა, ერთხელაც გავიხსენოთ, ჩვენი რა მიდის. აი, ამ ფოტოზე კერსუზონი წყნარ ოკეანეში Tahiti Nui Challenge-ის 6100-კილომეტრიანი რეგატის მოგების შემდეგ თაყვანისმცემლებს ესალმება. შეჯიბრება პოლინეზიის მთავრობამ ტაიტისა და ავსტრალიას შორის ურთიერთობის გასაღრმავებლად დააფინანსა.



AFP ტაიტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანასარიძე, ილია ხანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზველდიანი, გიორგი დარჩია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალი სიმპროაკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლიაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge